პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

№ 44 (11350)
კვირა
22
თებერვალი
1959 წ.

ფასი 20 კაპ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ხვალ, 23 თებერვალს, ჩვენი დიადი სამშობლოს მშრომელები ზეიმით აღნიშნავენ საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 41-ე წლისთავს.

დიდება სახელოვან და მამაც საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალებს!

სოციალისტური სამშობლოს ერთგული გუშაგი

ყოველწლიურად 23 თებერვლის სამახსოვრო დღეს საბჭოთა ხალხი სიყვარულით აღნიშნავს თავისი შეიარაღებული ძალების დღესასწაულს, პატრიოტული სიამაყის გრძნობით ავლებს თვალს მათს შესანიშნავ გამარჯვებებს, რომლებიც მოპოვებულია კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით. და მუდამ ეს თარიღი რჩება ჩვენს მეხსიერებაში როგორც დიდი ზეიმის დღე, არმიისა და ხალხის ურღვევი ერთიანობის ნათელი დემონსტრატია.

წელს ეს დღესასწაული განსაკუთრებით ღირსშესანიშნავია. იგი გასხივოსნებულია პარტიის XXI ყრილობის — კომუნიზმის მშენებელთა ყრილობის — ისტორიულ გადაწყვეტილებათა შუქით და ეწყობა საბჭოთა ხალხის არნახული პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში, იმ პირობებში, როცა მილიონობით საბჭოთა ადამიანმა დაიწყო დადი ლაშქრობა შვიდწლიანი გეგმის, კომუნისტური მშენებლობის გრანდიოზული ამოცანების განსახორციელებლად.

როცა საბჭოთა ადამიანები დღესასწაულობენ საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის წლისთავს, თავიანთ გულისყურს ყოველთვის მიაპყრობენ კომუნისტების ბრძენ პარტიას. ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვართა დაცვის ორგანიზაცია, საბჭოთა არმიის — ახალი ტიპის არმიის, მუშათა და გლეხთა არმიის — შექმნა საბჭოთა ხალხის წინაშე კომუნისტური პარტიის უდიდესი დამსახურებაა. საბჭოთა შეიარაღებული ძალების მშენებლობის ყველა ეტაპზე პარტია იჩენდა მუდმივ ზრუნვას პირველხარისხოვანი ტექნიკითა და იარაღით მათი აღჭურვისათვის, სამშობლოსა და ხალხისადმი ერთგულების სულისკვეთებით საბჭოთა მეომრების აღზრდისათვის.

საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებელი ვ. ი. ლენინი წითელი არმიის ძალასა და უძლეველობას ხედავდა იმაში, რომ იგი მოწყვეტილი არ არის ხალხისაგან, არამედ მჭიდროდ დაკავშირებულია მასთან, სისხლხორცეულად ახლოა მშრომელ მასებთან და წარმოადგენს მათს დამცველს, რომ მის მეომრებს ნათლად აქვთ შეგნებული თავიანთი ამოცანა — საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს, მშრომელთა ხელისუფლების, სოციალიზმის საქმის დაცვის ამოცანა.

საბჭოთა სახელმწიფო მშვიდობისმოყვარეა თვით თავისი სოციალური არსით. მისთვის და მისი შეიარაღებული ძალებისათვის უცხოა რაიმე დამპყრობლური მიზნები სხვა ქვეყნებისა და ხალხების მიმართ. საბჭოთა არმია იბრძვის მხოლოდ თავისი სოციალისტური სამშობლოს, მისი ინტერესების დაცვისათვის, იმპერიალისტური აგრესიის შეჩერებისა და მშვიდობის განმტკიცებისათვის.

საბჭოთა შეიარაღებული ძალები ღირსეულად ასრულებენ თავიანთ კეთილშობილურ დანიშნულებას. მთელი მათი ისტორია გმირობის, ხალხისადმი, სოციალისტური სამშობლოსადმი, კომუნიზმის საქმისადმი უმწიკვლო სამსახურის მაგალითია.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა გაანადგურეს შინაური კონტრრევოლუცია და უცხოეთის ინტერვენცია, დაიცვეს ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკა სამოქალაქო ომის წლებში. დიდი სამამულო ომის წლებში მათ შემუსრეს ფაშისტ დამპყრობთა პირსისხლიანი ურდოები, დაამხვრიეს ჰიტლერული სამხედრო მანქანა. თავიანთი უჭკნობი მამაცური საქმეებით, ბრძოლის ველზე უკვდავი გმირობით საბჭოთა მეომრებმა მოიპოვეს ჩვენი ქვეყნის მშრომელთა, მილიონობით ჩვენი საზღვარგარეთელი მეგობრის ღრმა სიყვარული და პატივისცემა.

დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხისა და მისი შეიარაღებული ძალების გამარჯვება იმას ნიშნავს, რომ გაიმარჯვა საბჭოთა საზოგადოებრივმა და სახელმწიფოებრივმა წყობილებამ, მსოფლიოში ყველაზე მოწინავე მარქსისტულ-ლენინურმა იდეოლოგიამ, კომუნისტური პარტიის ბრძნულმა ხელმძღვანელობამ.

ამჟამად საბჭოთა შეიარაღებული ძალები წარმოადგენენ მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნების უმნიშვნელოვანეს გარანტიას. ჩვენს შეიარაღებულ ძალებს აქვთ შესანიშნავი საბრძოლო რეაქტიული ტექნიკა, რომლითაც შეიძლება მტერს გამანადგურებელი დარტყმები მივაყენოთ როგორც ბრძოლის ველზე, ისე დედამიწის რომელიც გნებავთ წერტილში. ეჭვი არ არის, რომ ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმის შესრულება ხელს შეუწყობს საბჭოთა სამშობლოს თავდაცვითი ძლიერების კიდევ უფრო განმტკიცებას.

ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირი შეუპოვრად და თანმიმდევრულად იბრძვის ახალი ომის საფრთხის წინააღმდეგ. სკკპ XXI ყრილობამ ერთსულოვნად მოიწონა საბჭოთა მთავრობის ლენინური მშვიდობისმოყვარული პოლიტიკა, რომელიც ქმნის დაუძლეველ დაბრკოლებას იმპერიალისტ აგრესორთა გზაზე. დროული და სწორია, ნათქვამია ყრილობის რეზოლუციაში, საბჭოთა კავშირის მიერ უკანასკნელ ხანს მიღებული ღონისძიებანი, რომელთა მიზანია გერმანიის საკითხის მშვიდობიანი გადაჭრა, შეთანხმების მიღწევა ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტასა და მის სრულ აკრძალვაზე, განიარაღებაზე, „ცივი ომის“ შეწყვეტაზე, მთავრობათა მეთაურების თათბირის მოწვევაზე.

მაგრამ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა მმართველი წრეები გაგრძელებენ ატომური იარაღის დაგროვებას, ეარს ამბობენ საერთაშორისო პრობლემების მშვიდობიან მოწესრიგებაზე, საფრთხეს უქმნიან მსოფლიოს სულ სხვადასხვა რაიონის ხალხებს. ყოველივე ეს გვაიძულებს მშრალად ვინახავდეთ თოფის წამალს. საბჭოთა მეომრებს ღრმად აქვთ შეგნებული, რომ იმპერიალისტი აგრესორებისგან სოციალისტური სამშობლოს დაცვა მათი საპატიო მოვალეობაა. ამიტომ დაუღალავად, ყოველდღიურად სრულყოფენ თავიანთ საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებას, განამტკიცებენ ნაწილებისა და ქვედანაყოფების საბრძოლო მზადყოფნას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის დადგენილება წარმოადგენს ჩვენი შეიარაღებული ძალების ბრძოლისუნარიანობის შემდგომი ამაღლების შესანიშნავ პროგრამას. ამ დადგენილების საფუძველზე მეთაურები, პოლიტორგანოები და პარტიული ორგანიზაციები იბრძვიან იმისათვის, რომ კიდევ უფრო აამაღლონ პირადი შემადგენლობის საბრძოლო ოსტატობა, განამტკიცონ სამხედრო დისციპლინა.

სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სახელოვანი 41-ე წლისთავის დღეს საბჭოთა ადამიანები მხურვალედ უსურვებენ მათს მამაც მეომრებს ახალ წარმატებებს საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში, საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი შრომისა და სოციალისტური სამშობლოს დაცვის დიდი და საპატიო ამოცანის შესრულებაში.

„რევიზიონიზმის წინააღმდეგ, მარქსიზმის დასაცავად“ ვ. ი. ლენინის ნაწარმოებთა კრებული

პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ გამოუშვა კრებული „რევიზიონიზმის წინააღმდეგ, მარქსიზმის დასაცავად“. კრებულში შეტანილია ვ. ი. ლენინის უმნიშვნელოვანესი ნაწარმოებები, რომლებიც მიმართულია რევიზიონიზმის, ოპორტუნიზმისა და დოგმატიზმის წინააღმდეგ საერთაშორისო და რუსეთის მუშათა მოძრაობაში და რომლებიც იცავენ მეცნიერულ სოციალიზმს. (საკდესი).

1959 წლის 26 თებერვალს დღის 11 საათზე რკინიგზელთა სახლში (პლეხანოვის პრსპ. № 127-ა) მოწვეულია პროფკავშირულ-სამეურნეო აქტივის რესპუბლიკური კრება.

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმი.

მოსკოვს ჩამოვიდა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ჰაროლდ მაკმილანი

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ჰაროლდ მაკმილანი 21 თებერვალს ჩამოვიდა სსრ კავშირში საპასუხო ვიზიტით. მას ახლავან საგარეო საქმეთა მინისტრი სელვინ ლოიდი და სხვა ოფიციალური პირები.

ნაშუადღევს ვნუკოვოს აეროდრომზე, რომელიც მორთული იყო დიდი ბრიტანეთისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით, შეიკრიბა ასობით მოსკოველი. ისინი აქ მოვიდნენ, რათა მისალმებოდნენ ინგლისის სახელმწიფო მოღვაწეებს და გამოეთქვათ თავიანთი მხურვალე სურვილი ორი ქვეყნის ურთიერთობის განმტკიცების შესახებ მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების ინტერესებისათვის.

სტუმრების შესახვედრად მოვიდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილენი ფ. რ. კოზლოვი, ა. ი. მიკოიანი, ა. ნ. კოსიგინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის კულტურის მინისტრი ნ. ა. მიხაილოვი და სხვა პირნი.

შემხვედრთა შორის იყვნენ დიდი ბრიტანეთის ელჩი სსრ კავშირში სერი პატრიკ რაილი, დიდი ბრიტანეთის საელჩოს თანამშრომლები და დიპლომატიური კორპუსის წევრები.

15 საათზე ინგლისის რეაქტიული სამგზავრო თვითმფრინავი „კომეტა“ დაჯდა მოსკოვის მიწაზე. ნ. ს. ხრუშჩოვმა და საბჭოთა მთავრობის სხვა წევრებმა ხელი ჩამოართვეს ბ-ნ ჰაროლდ მაკმილანს, ბ-ნ სელვინ ლოიდს, დანარჩენ ინგლისელ სტუმრებს. გაისმა დიდი ბრიტანეთისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნები. პრემიერ-მინისტრმა ნ. ს. ხრუშჩოვთან ერთად ჩამოუარა საპატიო ყარაულის წყობილებას.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი მიკროფონთან მივიდა და სიტყვა წარმოთქვა. საპასუხო სიტყვა წარმოთქვა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ჰაროლდ მაკმილანმა. (საკდესი).

ჰაროლდ მაკმილანი მოსკოვში

მოსკოვს ჩამოსულმა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ჰაროლდ მაკმილანმა 21 თებერვალს ვიზიტი გაუკეთა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ს. ხრუშჩოვს.

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს თან ახლდნენ საგარეო საქმეთა მინისტრი სელვინ ლოიდი და დიდი ბრიტანეთის ელჩი სსრ კავშირში სერი პატრიკ რაილი. საუბარს რომელიც ვიზიტის დროს გაიმართა, დაესწრნენ აგრეთვე სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო და სსრ კავშირის ელჩი დიდ ბრიტანეთში ი. ა. მალიკი.

საუბრის შემდეგ ნ. ს. ხრუშჩოვმა კრემლის დიდ სასახლეში სადილი გამართა დიდი ბრიტანეთიდან ჩამოსული სტუმრების პატივსაცემად.

იმავე დღეს დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სელვინ ლოიდმა ვიზიტი გაუკეთა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს ა. ა. გრომიკოს. ვიზიტის დროს გაიმართა საუბარი, რომელსაც დაესწრნენ საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვ. ვ. კუზნეცოვი, სსრ კავშირის ელჩი დიდ ბრიტანეთში ი. ა. მალიკი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს მეორე ევროპული განყოფილების გამგის მოადგილე ვ. ა. ლოგინოვი.

ინგლისის მხრივ საუბარს დაესწრნენ დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მუდმივი მოადგილის მოადგილე სერი პატრიკ დინი და ელჩი სსრ კავშირში სერი პატრიკ რაილი. (საკდესი).

ლუგანსკელთა თაოსნობის პასუხად

ტყიბული. სტალინის სახელობის შახტი. შახტში დილის ცვლის ჩასვლის წუთებია. შახტის საერთო საგანრიგოში მრავალმა მეშახტემ მოიყარა თავი. კრება, რომელიც მიეძღვნა ლუგანსკელ მეშახტეთა პატრიოტული ინიციატივის განხილვას, გახსნილად გამოცხადდა.

— მთელი ჩვენი თვალუწვდენი ქვეყანა, ყველა საბჭოთა ადამიანი, — განაცხადა საშახტო კომიტეტის თავმჯდომარემ გ. გოგელაშვილმა, რომელმაც დამსწრეთ გააცნო დონბასელთა თაოსნობა, — პოლიტიკური და შრომითი აღმავლობით შეხვდა პარტიის XXI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს. ყველას ახარებს გრანდიოზული ამოცანები, რომელებსაც შვიდწლიანი გეგმა ისახავს. ჩვენ, მეშახტეები, მშობლიური პარტიის ყოველ ჩანაფიქრს ისევე როგორც წინათ, ამჟერადაც მთლიანად, ზუსტად და ვადამდე შევასრულებთ. ლუგანსკელ მეშახტეთა სახელოვანმა არმიამ გადაწყვიტა ფართოდ გააჩაღოს სოციალისტური შეჯიბრება შვიდწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის. ისინი პირობას იძლევიან, რომ მოიპოვებენ ახალ წარმატებებს ქვანახშირის ამოღების გადიდების, ხარისხის გაუმჯობესების, სათბობის თვითღირებულების შემცირებისათვის ბრძოლაში.

ტრიბუნაზეა მეორე საექსპლოატაციო უბნის უფროსი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ი. ორჯონიკიძე. იგი აცხადებს, რომ მეორე საექსპლოატაციო უბნის კოლექტივი კისრულობს **თებერვალში გეგმის გადამეტებით ამოიღოს ერთი ეშელონი ქვანახშირი; წლიური დავალება შეასრულოს 20 დეკემბრისათვის, ექსპლოატაციაზე მომუშავე თვითეული მუშის შრომის ნაყოფიერება გაადიდოს 10 პროცენტით; ტონა ქვანახშირის თვითღირებულება შეამციროს 3 მანეთით.**

სიტყვებით გამოვიდნენ და გადიდებული ვალდებულებები იკისრეს მნგრეველებმა **პ. ყიფშიძემ, ო. დოლონგაძემ,** მებიგე **ა. რადომინმა** და სხვ.

კრებამ გადაწყვიტა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიოს ლენინის სახელობის შახტის კოლექტივი და იკისრა შემდეგი ვალდებულებანი:

ვადამდე — 26 დეკემბრისათვის შეასრულოს ქვანახშირის ამოღების 1959 წლის დავალება და გეგმის გადამეტებით ამოიღოს 6 ათასი ტონა ქვანახშირი.

გეგმასთან შედარებით 1,3 პროცენტით აამაღლოს შრომის ნაყოფიერება.

ტონა ქვანახშირის თვითღირებულება გეგმასთან შედარებით შეამციროს 2 მანეთით და ამ გზით გასწიოს 862 ათასი მანეთის ეკონომია.

გარდა ამისა, მეშახტეები განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევენ სანგრევების მომზადებას, სამუშაო ფრონტის გაფართოებას.

კრების მონაწილეებმა ერთსულოვნად განაცხადეს, რომ მეშახტეთა კოლექტივი ყოველ ღონეს იხმარს შრომის მოწინავე მეთოდების დასანერგავად, ახალი რეზერვების გამოსავლინებლად, რათა მიაღწიოს აღებულ ვალდებულებათა პირნთლად განაღდებას.

გაზეთ „კომუნისტის“ მუშკორთა საგუშაგო.



ნ ნაწილის მეომრები ტაქტიკურ მეცადინეობაზე. **სურათზე:** ათეულის მეთაური ა. ივანოვი (მარჯვნივ) და მეომარი ა. დოლენჯიშვილი იერიშის დროს. ფოტო გ. კიკვაძისა და ს. ონანოვისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

საზეიმო სხდომა თბილისში

მიძღვნილი საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 41 წლისთავისადმი

21 თებერვალს გაიმართა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საკალაქო საბჭოს საზეიმო სხდომა პარტიულ, საბჭოთა, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და თბილისის გარნიზონის ჯარის ნაწილებთან ერთად, მიძღვნილი საბჭოთა არმისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 41 წლისთავისადმი.

თბილისის ოფიცერთა საოლქო სახლის სადღესასწაულოდ მორთულ თეატრის დარბაზში შეიკრიბნენ წარმოების მოწინავენი, პარტიული და საბჭოთა მუშაკები, მეცნიერებისა და ხელოვნების მოღვაწენი, საბჭოთა არმიის მეომრები.

პრეზიდიუმის მაგიდას უსხედან **ვ. პ. მყავანაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, მ. დ. ჩუბინიძე, პ. ვ. კოვანოვი, ფ. ა. დუმბაძე, კ. ნ. გალიცკი, ი. გ. რთველიაშვილი, გ. ა. გეგეშიძე.**

საზეიმო სხდომა გახსნა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საკალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **ა. ე. მელაძემ.** საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 41 წლისთავის შესახებ მოხსენება გააკეთა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალმა არმიის გენერალმა **კ. ნ. გალიცკიმ.**

სამშობლოს სახელოვან დამცველებს მისასალმებელი სიტყვებით მიმართეს ქალაქის პარტიული ორგანიზაციისა და მშრომელთა სახელმწიფო პარტიის თბილისის საკალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **გ. გეგეშიძემ,** ინტელიგენციის სახელით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა **კ. ზავრიევმა,** სპორტველთა საწარმოთა და მშენებლობათა მუშებისაგან — ელმავალსაშენებელი ქარხნის მუშამ **გ. მიქაბერიძემ,** სტუდენტი ახალგაზრდობისაგან — **ი. ბ.** სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტმა **ნ. ტამარაზოვამ.**

საზეიმო სხდომის დასასრულს გაიმართა დიდი კონცერტი. (საკდესი).

ხალხის კანდიდატები

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაცია

საქართველოს სსრ კანონმდებლობის ძალაში შესვლის შემდეგ, ანუ 1956 წლიდან, ეს მეოთხე ფაქტია, როცა ხალხი ამ ფაქტს ეზეიმებს. ეს ფაქტი ადასტურებს, ერთ-ერთ, ალბათ ყველაზე ცოცხალ, ფერადოვან, ადამიანურ, ადამიანებისა და ადამიანებისადმი ერთგულ, ადამიანებისადმი ერთგულ, ადამიანებისადმი ერთგულ,

21 თებერვალი

შვიდწლედის კალენდარი

გუშინ ქუთაისში

პარტიის XXI ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებული ქუთაისის მშრომელები ყოველდღიურად ზრდიან თავიანთ წვლილს შვიდწლედის ვადამდე შესრულებისათვის გაჩაღებულ საყოველთაოსახალხო შეჯიბრებაში. გუშინ განსაკუთრებული აღმავლობით მუშაობდნენ ქალაქის მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოთა, ახალმშენებლობათა მრავალრიცხოვანი კოლექტივები.

საავტომობილო ქარხანაში. № 2 სამსხმელო საამქროს მეყალიბეთა **ამირან კაპანაძის** კომუნისტური შრომის ბრიგადა, რომელმაც შვიდწლედის ხუთ წელიწადში შესრულება იკისრა, გუშინ ცვლის დავალების გადამეტებით დაამზადა 20 ცალი ცილინდრის ბლოკისა და 15 ცალი სიჩქარეთა კოლოფის კარტერის ყალიბი. დღიური დავალების გადამეტებით შესრულებაში თავი გამოიჩინეს მეყალიბეებმა **ალექსანდრე მამიჩეიშვილმა, უჩა ჯულუხაძემ, რევაზ კერესელიძემ, შოთა შენგელიამ** და სხვ.

მანქანათსამშენებლო ქარხანაში. გუშინ თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათსამშენებლო და ელექტრომავალსამშენებლო ქარხნებს გაეგზავნათ ფოლადის სხმულები. არტეზიული ტუმბოები გაიგზავნა ბაქოსა და იმიერბაიკალში. ლითონკონსტრუქციების საამქროს კოლექტივმა, რომელსაც **გიორგი გოგისვანიძე** ხელმძღვანელობს, უზრუნველყო ცამეტი საშახტო ელმავლის აწყობა.

ᲨᲕᲘᲓᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ

1. დამსახურებული ნდობა

მთელ კომბინატში იგი რთვის პირველ ოსტატად ითვლება. მაგრამ სართავ საამქროში უცხო კაცი, რომ შეუშვათ და ჰკითხოთ, ვისი მუშაობა უფრო მოგწონთო, იქნებ არჩევანი მარიამ გემიაშვილზე არც შეაჩეროს. იგი მშვიდად დგას თავის მანქანებთან და თვალყურს ადევნებს თითისტრების მოძრაობას. მწყობრად ჩარაზმული თითისტრები კი შეუჩერებლივ ბრუნავენ. ხანგამოშვებით სადღაც ძაფი გაწყდება, თითისტარი წამით ჩერდება. მარიამი იქითკენ იხრება. ხელებით დამახასიათებელ მოძრაობას აკეთებს, და გაჩერებული თითისტარიც უმალვე ჩაებმება ფერხულში.

ისე ბუნებრივი და ძალდაუტანებელია ამ ქალის ყოველი მოძრაობა, ასე გგონია კი არ მუშაობს, ერთობა, თავს იქცევსო. და თუ სჯმეში ცოტათი მაინც ჩახედული არა ხართ, რაოდენ გაკვირვებული დარჩებით, როცა დღის ბოლოს აღმოჩნდება, რომ მის მიერ დამზადებული ნართი 50 პროცენტით აღემატება დღიურ ნორმას.

ასეა, ოსტატის ხელში მუდამ იოლი ჩანს საქმე. მაგრამ აბა ერთი მარიამის აღმზრდელ ოსტატს ზ. გლუბოკოვს ჰკითხეთ, რამდენი ჯაფა დასჭირდა გემიაშვილს, ვიღრე ისე გაიწაფებოდა და დაოსტატდებოდა, რომ

ასე იოლად მომსახურებოდა ორ სართავ მანქანას.

გორის საფეიქრო კომბინატში კარგახანია მარიამ გემიაშვილმა მოწინავე მუშის, საუკეთესო მრთველის სახელი დაიმკვიდრა. მაგრამ თუ ასე აფასებდნენ, თუ ასე უყვარდა კომბინატში ყველას, თვითონაც არ ეგონა. ამაში იგი მხოლოდ ამ რამდენიმე დღის წინ დარწმუნდა წინასაარჩევნო კრებაზე.

კლუბში ტევა არ იყო. თავმჯდომარემ წინადადებისათვის ერთ-ერთ ამომრჩეველს რომ მისცა სიტყვა, დარბაზში ჩურჩულმა ნიავივით გაიშრიალა: „ნეტავი ვის დაასახელებს, ვის დაასახელებს?

— ჩემთვის რომ მოეცათ სიტყვა, შენ დაგასახელებდი, — უჩურჩულა ვიღაცამ მარიამს.

— მოიცა, იქნებ კიდევაც ასახელებენ ამ ქალს, — თქვა მეორემ.

— სსს, ჩუმად იყავით, გამაგონეთ! — მწყრალად გაჩუმა გემიაშვილმა ისინი და სმენად იქცა.

მოულოდნელად ორატორმა მისი გვარი ახსენა და ერთბაშად იქუხა ტაშმა.

შინ დაბრუნებულს მთელი ღამე არ დაეძინა. გული სიხარულსა და ბედნიერებას ვერ იტევდა: მარიამ გემიაშვილი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად დაასახელეს. როგორ მუყარებია ყველას, რა გულთბილად, რა გულითადად ლაპარაკობდნენ მასზე ამხანაგები. მერე და რით დაიმსახურა მან, უბრალო მუშა ქალმა ესოდენი სიყვარული, ნდობა და პატივისცემა? მხოლოდ და მხოლოდ შრომით, პატიოსანი შრომით, და როგორ შეუძლია ათასი მადლობა არ შეუთვალოს მშობლიურ კომუნისტურ პარტიას და ხაბჭოთა მთავრობას, რომლებმაც შრომა პატივისა და დიდების საქმედ აქციეს და ერთი უბრალო ფეიქარი ქალი ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებში არჩევის დირსი გახადეს.

* * *

სურათზე: მოწინავე მრთველი მ. გემიაშვილი.

ფოტო შ. კუკულავასი.

გმირობა, სიმამაცე

მათი სახელი უკვდავია

მოსკოვი. („კომუნისტის“ სპეც. კორ.). ჩვენი სამშობლოს დედაქალაქში ბევრი სხვადასხვა მუზეუმია. თვითეული მათგანი თავისებურად საინტერესო, თავისებურად დიდმნიშვნელოვანია. და მათგან ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო მაინც ხაბჭოთა არმიის ცენტრალური მუზეუმია. იგი ჯერ კიდევ 1919 წლის დეკემბერში დაარსდა და ყოველთვის მრავალ მნახველს იზიდავს.

განსაკუთრებით ბევრი მნახველია აქ ჩვენი ქვეყნის შეიარაღებული ძალების სახელოვანი დღესასწაულის წინადღეებში. რამდენჯერაც უნდა მოხვიდეთ აქ, ძნელია წარმოიდგინოთ, რაოდენ მრავალია მუზეუმში შეკრებილი ექსპონატები, რომლებიც მოგვითხრობენ წითელი არმიის შექმნაზე, მის სახელოვან გამარჯვებებზე კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით.

ბევრი, ძალიან ბევრია აქ ჭეშმარიტად წმიდა რელიკვიები — მამაცობის, სიმტკიცის, სულიერი სიდიადის მოწმენი. მაგრამ ამ სტრიქონებით ჩვენ გვინდა გიამბოთ მხოლოდ ცალკეული ამაღლებული დოკუმენტების შესახებ.

სტალინგრადის გმირულ დაცვაში მონაწილეობას იღებდა ესპანეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის დოლორეს იბარურის შვილი — კომკავშირელი რუბენ რუის იბარური. 1941 წლის სექტემბერში ხაბჭოთა ახალგაზრდობის პირველი ანტიფაშისტური მიტინგის ტრიბუნიდან რუბენ იბარურიმ განაცხადა: „...მე ესპანელი ვარ, ხოლო ჩემს გვერდით იბრძვიან რუსი და ქართველი, ბელორუსი და ყაზახი, უკრაინელი და ტაჯიკი. ჩვენს გვერდით დადექით ყველანი, ვისაც სურს მოიპოვოს ბედნიერება და თავისუფლება. ჩვენ ბევრნი ვართ დღეს ცეცხლის ხაზზე, ხოლო ხვალ კიდევ უფრო მეტი ვიქნებით, ყოველი მხრიდან მოვლენ ჩვენთან მეგობრები“.

თითქოს ბევრი სიტყვა როდია, მაგრამ რამდენი აზრი, დიდი გრძნობაა ჩაქსოვილი სახელოვანი წითელი არმიის ინტერნაციონალური შემადგენლობის, მისი კეთილშობილური მიზნების შესახებ, რამდენი რწმენაა ჩვენი არმიისა და ხალხის სამართლიანი საქმის მეგობრებისადმი! სამწუხაროა მხოლოდ, რომ ომმა შეწყვიტა ესპანელი ხალხის ამ შესანიშნავი შვილის სიცოცხლე, რომლის სახელი სამუდამოდ დარჩება იმ მამაცთა შორის, ვისაც სიკვდილის შემდეგ მიენიჭა ხაბჭოთა კავშირის გმირის მაღალი წოდება.

მუზეუმში სათუთად დაცულია ხაბჭოთა კავშირის მარშალ თ. ი. ტოლბუხინის ბევრი ფოტოსურათი. მის სახელს კარგად იცნობენ თბილისსა და მთელი საქართველოს მშრომელები. აი სურათზე ვხედავთ ერთ-ერთი ნაწილის ჯარისკაცთა და სერჟანტთა შორის. აი მარშლის კიტელი, მისი საათი, პორტსიგარი, მარშლის ხმალი... და ყოველივე ეს დიდხანს მოგვაგონებს ხაბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების გამოჩენილ მოღვაწეს და მზეჭინარს.

მრავალ ექსპონატს შორის ჩვენი ყურადღება მიიპყრო ფურცელმა კომკავშირელ შოთა როსტაშვილის გმირობის შესახებ, ეს ფურცელი ბალტიისპირეთის მე-3 ფრონტის პოლიტიკურ სამმართველოს გამოუცია 1944 წელს.

ერთ-ერთი დარბაზის კედელზეა ხაბჭოთა კავშირის გმირის მ. ს. დიასამიძის პორტრეტი, ფოტოსურათის თავზე ჩარჩოში პოდპოლკოვნიკ დიასამიძისათვის 1942 წლის 20 დეკემბერს გაგზავნილი დეპეშის ტექსტი. მასში ნათქვამია: „**ვამაყობ თქვენი მედგარი ბრძოლით. არც ერთი ნაბიჯი უკან. მებრძოლები და მეთაურები, რომლებმაც თავი გამოიჩინეს, მთავრობის ჯილდოზე წარმოადგინეთ. ი. სტალინი**“.

ეს ასე მოხდა. 1942 წლის დეკემბერში სადგურ კოტელნიკოვოს რაიონიდან გერმანელ ფაშისტთა ჯარების მძლავრი დაჯგუფება ფელდმარშალ მანშტეინის სარდლობით ცდილობდა გაერღვია გარემოცვის რკალი და გაეთავისუფლებინა სტალინგრადთან გარშემორტყმული ყოფილიყო მ. ვ. ფრუნზე და ასეთი დარჩა იგი ხალხის ხსოვნაში. მოწინააღმდეგის რიგებში შიშსა და ძრწოლას იწვევდა 1-ლი ცხენოსანი არმია კ. ე. ვოროშილოვისა და ს. მ. ბუდიონის სარდლობით. ხაბჭოების ხელისუფლებისათვის ბრძოლებში გმირულად იბრძოდნენ შენაერთები სამოქალაქო ომის ლეგენდარული გმირების ვ. ი. ჩაპაევის, ვ. ი. კიკვიძის, ნ. ა. შჩორსის, ა. ა. პარხომენკოს, გ. ი. კოტოვსკის და სხვათა სარდლობით.

წითელმა არმიამ სასტიკად დაამარცხა ინტერვენტთა რჩეული ჯარები, თეთრგვარდიელთა ურდოები და თავისი ქვეყნის ფარგლებიდან განდევნა ისინი.

უსაზღვრო მამაცობა, უმაგალითო თავდადება და მასობრივი გმირობა გამოიჩინეს ხაბჭოთა არმიამ და სამხედრო-საზღვაო ფლოტმა დიდი სამამულო ომის წლებში.

ხაბჭოთა ხალხმა და მისმა შეიარაღებულმა ძალებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით არა მარტო დაიცვეს თავიანთი სამშობლოს ღირსება და დამოუკიდებლობა, არამედ კაცობრიობაც იხსნეს ფაშისტური დამონებისაგან. ამ ომში კიდევ უფრო დამაჯერებლად იჩინა თავი ხაბჭოთა სოციალისტური წყობილების უცილობელმა უპირატესობებმა კაპიტალისტურ წყობილებასთან შედარებით.

ომის მრისხანე დღეებში კომუნისტური პარტიის მოწოდებით ჩვენი სამშობლოს ღირსებისა და დამოუკიდებლობის დასაცავად დაირაზმა ყველა — დიდით პატარამდე. შეიქმნა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი ი. ბ. სტალინის თავმჯდომარეობით. ხაბჭოთა ხალხმა და მისმა შეიარაღებულმა ძალებმა ბრწყინვალე გამარჯვებით დაამთავრეს მეორე მსოფლიო ომი.

ხაბჭოთა ხალხის ისტორიის მატიანეში ოქროს ასოებით ჩაწერილია დიდი სამამულო ომის მრავალი გმირის სახელი, რომელთა შორის მრავლად არიან მზიური საქართველოს შვილები.

მარად უჭკნობი დარჩება ხაბჭოთა კავშირის მამაცი ლეგენდარული გმირების — ჩანჩიბაძის, ლესელიძის, წურწუმიას, ქანთარიას, კობერიძის, ინასარიძის, ბილანიშვილის, გახოკიძის, ჩეჩელაშვილის, იოსელიანის, პირმისაშვილის, ბაქრაძის, ლურსმანაშვილისა და სხვათა დიდება.

ხაბჭოთა არმიის სწრაფმა შეტევამ ცხადყო, რომ მას უნარი შესწევდა პირისპირ ბრძოლაში გაენადგურებინა ფაშისტური გერმანია და მის მიერ დამონებისაგან ეხსნა ევროპის ხალხები. მხოლოდ ამის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატები და ინგლისი 1944 წლის შუახანებში იძულებული გახდნენ გაეხსნათ მეორე ფრონტი.

დიდ სამამულო ომში გაიმარჯვა ჩვენმა ნამდვილად სახალხო, ხაბჭოთა ხალხგადამებრივმა და სახელმწიფოებრივმა წყობილებამ, რომელმაც დაამტკიცა თავისი უცილობელი უპირატესობანი ექსპლოატატორული, კაპიტალისტური წყობილების წინაშე. გაიმარჯვეს პირველხარისხოვანი სამხედრო ტექნიკით აღჭურვილმა ჩვენმა სახელოვანმა შეიარაღებულმა ძალებმა.

გადამწყვეტი პირობა, რომელმაც უზრუნველყო ეს დიდი გამარჯვება, იყო ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობა, მისი უდიდესი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა ფრონტზე და ზურგში. პარტიამ გააერთიანა ხალხის მთელი ძალები და გონივრულად გამოიყენა მტრის გასანადგურებლად, ხაბჭოთა ადამიანები უმაგალითო გმირობას იჩენდნენ.

სამშობლომ დიდად დააფასა თავის პატრიოტთა გმირობა. 11 ათას კაცს მიენიჭა ხაბჭოთა კავშირის გმირის წოდება, მათგან 7.500 კომუნისტია. მილიონობით ხაბჭოთა ადამიანი დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით.

დიდ სამამულო ომში ხაბჭოთა ხალხის გამარჯვებამ შექმნა პირობები ხახალხო-დემოკრატიული წყობილების წარმოშობისათვის ევროპისა და აზიის მთელ რიგ ქვეყნებში.

ომისშემდგომ წლებში ჩვენმა ქვეყანამ დიდად წაიწია წინ. ახლა იგი მარტო აღარ არის. სოციალისტურ ბანაკში მილიარდ კაცზე მეტი მოსახლეობაა, სოციალიზმი მძლავრი მსოფლიო სისტემა გახდა. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ხაბჭოთა ხალხი წარმატებით იბრძვის სკკპ XXI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების გრანდიოზული შვიდწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, დღითიდღე ავითარებს თავის ეკონომიკასა და კულტურას. მთელი მსოფლიო ხედავს, რომ ხაბჭოთა კავშირი დიდ ჩინეთთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან ერთად ახორციელებს მშვიდობის, სხვადასხვა სოციალური სისტემების მქონე ქვეყნების მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკას, ცდილობს მიაღწიოს ატომური, წყალბადის იარაღისა და მასობრივი მოსპობის სხვა სახეობათა იარაღის უთუოდ აკრძალვას. ახალი მსოფლიო ომის თავიდან აცილების ჩვენი ნათელი პროგრამა ჩაწერილია ჩვენი პარტიის XXI ყრილობის გადაწყვეტილებებში, მოცემულია ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მრავალ გამოსვლაში. ჩვენი მშვიდობისმოყვარეობის ახალი მკაფიო დადასტურებაა ხაბჭოთა მთავრობის წინადადებანი საერთაშორისო დაძაბულობის შენელების შესახებ, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების შემცირება კიდევ 300 ათასი კაცით, ხოლო სულ წინა წლებთან ერთად 2 მილიონ 140 ათასი კაცით.

ჩვენ არ შეგვიძლია არ ვხედავდეთ, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვა კაპიტალისტური ქვეყნების აგრესიული წრეები განაგრძობენ გამალებულ შეიარაღებას, კვლავ თოფქვეშ ჰყავთ დიდი რიცხობრივი შემადგენლობის არმიები, ქმნიან ხაბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების გარშემო სხვადასხვა სამხედრო ბლოკებს.

ყოველივე ეს გვაიძულებს კვლავაც ვიყოლიოთ მტკიცე შეიარაღებული ძალები, განვამტკიცოთ ჩვენი ხაბჭოთა სახელმწიფოს თავდაცვა.

მძიმე მრეწველობის სწრაფი განვითარების, ჩვენს სამშობლოში მეცნიერებისა და ტექნიკის უდიდესი მიღწევების საფუძველზე ჩვენს არმიაში განხორციელებულია სრული მექანიზაცია და მოტორიზაცია, იგი აღჭურვილია ყველა თანამედროვე სახეობათა იარაღით, მათ შორის ატომური და წყალბადის იარაღით, საკონტინენტთ ა შ ორისო ბალისტიკური რაკეტით.

ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელთან ერთად ხაბჭოთა მეომრებიც ამაყობენ მშობლიური მეცნიერების მიღწევებით. მოწინავე ტექნიკით აღჭურვილნი, ისინი საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების დარგში ახალი წარმატებებით აღნიშნავენ ხაბჭოთა არმიისა და სამხედრო - საზღვაო ფლოტის 41-ე წლისთავს.

სურათზე: ნ ნაწილის ტანკის მოწინავე ეკიპაჟი ტაქტიკურ მეცადინეობაზე.

ფოტო ს. ონანოვისა და გ. კოკვაძისა (საქფოტოქრონიკა).

ᲐᲠᲐᲡᲝᲓᲔᲡ ᲐᲠ ᲓᲐᲕᲘᲕᲘᲬᲧᲔᲑᲗ

გაზეთ „პენზენსკაია პრავდაში“ რომ წავიკითხე დივიზიის ლეგენდარული მეთაურის კიკვიძის ხსოვნის აღსანიშნავი სტატია, ცოცხლად წარმომიდგა სამოქალაქო ომის მძიმე წლები, 1919 წლის მკაცრი, ყინვიანი და თოვლიანი ზამთარი. მე-16 დივიზიამ მტერი უკუაგდო სტანიცა პრეობრაჟენსკაიადან და სტანიცაში დადგა. ჩვენი სახლის ერთ ოთახში მოთავსდა დივიზიის სანიტარული ნაწილი. დანარჩენ ორ ოთახში ჩვენი ოჯახი იყო. ჩვენთან შემოვიდა სამხედრო კაცი და თქვა, რომ კიკვიძე იყო. ცალი ხელი შეხვეული ჰქონდა (დაჭრილი იყო), შუა ტანისა იყო და კეხიანი ცხვირი ჰქონდა. მთელი ოჯახი სუფრასთან რომ ნახა, გვთხოვა ნება დაგვერთო დარჩენილიყო ჩვენთან. მშობლები დათანხმდნენ. დედამ საჭმლის მომზადება დაიწყო. მე კი, როგორც ბავშვებში ყველაზე უფროსს, მიბრძანა სუფრა გამეშალა. მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც ჩვენთან იყო, კიკვიძე ესაუბრებოდა ჩემს მშობლებს და უხსნიდა, თუ როგორი ცხოვრებისთვის იბრძოდა წითელი არმია.

კიკვიძის ხსოვნის აღსანიშნავად ჩვენს სტანიცას ეწოდა მისი სახელი.

მარიამ ვასილიევა

სტანიცა პრეობრაჟენსკაია.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲨᲔᲘᲐᲠᲐᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲫᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ

ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚ-ᲛᲐᲘᲝᲠᲘ Გ. ᲧᲣᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

საბჭოთა ხალხი და მისი შეიარაღებული ძალები ხვალ უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებულნი აღნიშნავენ ჩვენი გმირი შეიარაღებული ძალების 41-ე წლისთავს, რომლებმაც საბჭოთა სამშობლოსათვის, მისი ღირსებისა და დამოუკიდებლობისათვის მძაფრ ბრძოლებში უჭკნობი დიდებით შემოსეს თავიანთი საბრძოლო დროშები და ახლა ფხიზლად იცავენ ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს მშვიდობასა და უშიშროებას.

იმპერიალისტური არმიებისაგან განსხვავებით, რომლებიც ექსპლოატატორთა ინტერესებს იცავენ და რომლებსაც დამპყრობლური უსამართლო ომების იარაღად იყენებენ, საბჭოთა არმია არის მშრომელთა განთავისუფლების არმია, ხალხის ხორცი ხორცთაგანი, იგი იზრდება პროლეტარული ინტერნაციონალიზმის და ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხისადმი ღრმა პატივისცემის სულისკვეთებით.

1918 წლის 23 თებერვალს ახალგაზრდა წითელი არმიის რაზმებმა პსკოვთან და ნარვასთან გააფთრებულ ბრძოლებში დაამარცხეს გერმანიის იმპერიალიზმის ჯარები, შეაჩერეს მათი წინსვლა პეტროგრადისაკენ — ოქტომბრის რევოლუციის აკვნისაკენ. მას შემდეგ ეს დღე აღინიშნება როგორც წითელი არმიის დაბადების დღე.

უდიდეს სიძნელეებს განიცდიდა მაშინ ჩვენი ქვეყანა, რომელიც მტრების მიერ ყოველი მხრიდან იყო გარშემორტყმული. სამ წელზე მეტ ხანს გრძელდებოდა ხაბჭოთა ხალხის მედგარი გმირული ბრძოლა თავით ფეხამდე შეიარაღებული იმპერიალისტური არმიების წინააღმდეგ. ამ ბრძოლას სათავეში ედგა დიდი კომუნისტური პარტია; მისი შემადგენლობის ნაჯვარი ფრონტზე იყო. კომუნისტები ბოლშევიკური სიტყვით და გმირობის პირადი მაგალითით აკავშირებდნენ მებრძოლებს, მიუძღოდნენ მათ მტრის გასანადგურებლად. მუშათა და გლეხთა თავდაცვის ხაბჭომ ვ. ი. ლენინის მეთაურობით განახორციელა ხელმძღვანელობა ფრონტზე და ზურგში. თვალსაჩინო ორგანიზატორები ხაბჭოთა რესპუბლიკის სამხედრო დაცვისა, რომელსაც სათავეში ედგა ვ. ი. ლენინი, იყვნენ: ი. ბ. სტალინი, ი. მ. სვერდლოვი, ფ. ე. ძერჟინსკი, მ. ვ. ფრუნზე, მ. ი. კალინინი, ვ. ვ. კუიბიშევი, ს. მ. კიროვი, კ. ე. ვოროშილოვი, გ. კ. ორჯონიკიძე და სხვები.

შესანიშნავი მხედართმთავარი ლანიშვილის, გახოკიძის, ჩეჩელაშვილის, იოსელიანის, პირმისაშვილის, ბაქრაძის, ლურსმანაშვილისა და სხვათა დიდება.

ხაბჭოთა არმიის სწრაფმა შეტევამ ცხადყო, რომ მას უნარი შესწევდა პირისპირ ბრძოლაში გაენადგურებინა ფაშისტური გერმანია და მის მიერ დამონებისაგან ეხსნა ევროპის ხალხები. მხოლოდ ამის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატები და ინგლისი 1944 წლის შუახანებში იძულებული გახდნენ გაეხსნათ მეორე ფრონტი.

დიდ სამამულო ომში გაიმარჯვა ჩვენმა ნამდვილად სახალხო, ხაბჭოთა სახოგადოებრივმა და სახელმწიფოებრივმა წყობილებამ, რომელმაც დაამტკიცა თავისი უცილობელი უპირატესობანი ექსპლოატატორული, კაპიტალისტური წყობილების წინაშე. გაიმარჯვეს პირველხარისხოვანი სამხედრო ტექნიკით აღჭურვილმა ჩვენმა სახელოვანმა შეიარაღებულმა ძალებმა.

გადამწყვეტი პირობა, რომელმაც უზრუნველყო ეს დიდი გამარჯვება, იყო ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობა, მისი უდიდესი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა ფრონტზე და ზურგში. პარტიამ გააერთიანა ხალხის მთელი ძალები და გონივრულად გამოიყენა მტრის გასანადგურებლად, ხაბჭოთა ადამიანები უმაგალითო გმირობას იჩენდნენ.

სამშობლომ დიდად დააფასა თავის პატრიოტთა გმირობა. 11 ათას კაცს მიენიჭა ხაბჭოთა კავშირის გმირის წოდება, მათგან 7.500 კომუნისტია. მილიონობით ხაბჭოთა ადამიანი დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით.

დიდ სამამულო ომში ხაბჭოთა ხალხის გამარჯვებამ შექმნა პირობები ხახალხო-დემოკრატიული წყობილების წარმოშობისათვის ევროპისა და აზიის მთელ რიგ ქვეყნებში.

ომისშემდგომ წლებში ჩვენმა ქვეყანამ დიდად წაიწია წინ. ახლა იგი მარტო აღარ არის. სოციალისტურ ბანაკში მილიარდ კაცზე მეტი მოსახლეობაა, სოციალიზმი მძლავრი მსოფლიო სისტემა გახდა. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ხაბჭოთა ხალხი წარმატებით იბრძვის სკკპ XXI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, სსრ კავშირის ხახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების გრანდიოზული შვიდწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, დღითიდღე ავითარებს თავის ეკონომიკასა და კულტურას. მთელი მსოფლიო ხედავს, რომ ხაბჭოთა კავშირი დიდ ჩინეთთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან ერთად ახორციელებს მშვიდობის, სხვადასხვა სოციალური სისტემების მქონე ქვეყნების მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკას, ცდილობს მიაღწიოს ატომური, წყალბადის იარაღისა და მასობრივი მოსპობის სხვა სახეობათა იარაღის უთუოდ აკრძალვას. ახალი მსოფლიო ომის თავიდან აცილების ჩვენი ნათელი პროგრამა ჩაწერილია ჩვენი პარტიის XXI ყრილობის გადაწყვეტილებებში, მოცემულია ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მრავალ გამოსვლაში. ჩვენი მშვიდობისმოყვარეობის ახალი მკაფიო დადასტურებაა ხაბჭოთა მთავრობის წინადადებანი საერთაშორისო დაძაბულობის შენელების შესახებ, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების შემცირება კიდევ 300 ათასი კაცით, ხოლო სულ წინა წლებთან ერთად 2 მილიონ 140 ათასი კაცით.

ჩვენ არ შეგვიძლია არ ვხედავდეთ, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვა კაპიტალისტური ქვეყნების აგრესიული წრეები განაგრძობენ გამალებულ შეიარაღებას, კვლავ თოფქვეშ ჰყავთ დიდი რიცხობრივი შემადგენლობის არმიები, ქმნიან ხაბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების გარშემო სხვადასხვა სამხედრო ბლოკებს.

ყოველივე ეს გვაიძულებს კვლავაც ვიყოლიოთ მტკიცე შეიარაღებული ძალები, განვამტკიცოთ ჩვენი ხაბჭოთა სახელმწიფოს თავდაცვა.

მძიმე მრეწველობის სწრაფი განვითარების, ჩვენს სამშობლოში მეცნიერებისა და ტექნიკის უდიდესი მიღწევების საფუძველზე ჩვენს არმიაში განხორციელებულია სრული მექანიზაცია და მოტორიზაცია, იგი აღჭურვილია ყველა თანამედროვე სახეობათა იარაღით, მათ შორის ატომური და წყალბადის იარაღით, საკონტინენტთ ა შ ორისო ბალისტიკური რაკეტით.

ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელთან ერთად ხაბჭოთა მეომრებიც ამაყობენ მშობლიური მეცნიერების მიღწევებით. მოწინავე ტექნიკით აღჭურვილნი, ისინი საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების დარგში ახალი წარმატებებით აღნიშნავენ ხაბჭოთა არმიისა და სამხედრო - საზღვაო ფლოტის 41-ე წლისთავს.

2. თერთმეტნი არიან, ტოლნი არიან...

მთიელი ქალის ხელი არასოდეს არ დადგება. ახლაც მაღაროსკარის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ფერმაში რომ მივედით, მარიამ ალუდაურსა და მის დობილებს ხელში წინდის ჩხირები ეჭირათ და გამალებით ქსოვდნენ ფშაურ წინდებს.

— თბილები საჭირო გახდა, — გვეუბნება მარიამი, — ხედავთ, თებერვალმა მაინც არ დაგვტოვა გულნაკლული — დაგვითოვა...

გარეთ მართლაც სუსხიანი ზამთარია. დაუდეგარ და მუდამ მყვირალა არაგვს ალაგ-ალაგ ყინულის ჯავშანი ჩაუცვამს, თეთრნაბადა მთები ბრძენი მოხუცებივით ჩაფიქრებულან, ფერმის მარცხნივ, მოწმენდილი ცის ფონზე მაღაწალის მთა დაყუდებულა და მზის სხივებზე ათას მარგალიტად უბრწყინავს მკერდი.

ფერმაში თბილა. მწველავთა დასასვენებელ ოთახში ქალის ხელი იგრძნობა. ყველაფერი დაწკრიალებულია, საწოლი კოხტად არის დალაგებული, წიგნებსა და ჟურნალ-გაზეთებს კარგა მოზრდილი მაგიდა უჭირავს, კედელზე გაკრულია კედლის გაზეთი, წვალადობის მაჩვენებლები, პლაკატ-ლოზუნგები... კედელს იქით, სუფთა სადგომში მეწველი ძროხები ჰყავთ, ცალკეა ჩვილი ხბოების კუთხე. პირუტყვს მარიამის ბრიგადის წევრები უვლიან.

მ. ალუდაური.

* * *

მწველავთა ამ ბრიგადას ახლა მარტო დუშეთის რაიონში კი არა, მთელ რესპუბლიკაში იცნობენ. ორი თვის წინათ მთიელმა გოგონებმა თავიანთი ბრიგადა კომუნისტური შრომის ბრიგადად გამოაცხადეს და მტკიცე პირობა დადეს იცხოვრონ და იშრომონ კომუნისტურად, ამიტომაც მაღალ საწარმოო ვალდებულებებთან ერთად იკისრეს არ დაუშვან შრომის დისციპლინის მცირეოდენი დარღვევაც კი, იყონ კომუნისტური ყოფაქცევის ნიმუშის მაჩვენებელნი.

ბრიგადაში თერთმეტი კომკავშირელი გოგონაა. ესენი არიან სეხნიები: ეთერ უძილაური, ეთერ კაკაბლიშვილი, ეთერ ხადიაშვილი, ნინო მგელიაშვილი, მარიამ გარაშვილი, მარიამ ხადიაშვილი მარიამ ალუდაური და სხვები. საქმე ულეველია. ირიყრაკებს თუ არა, გოგონები ძროხებს წველიან, შემდეგ სურნელოვან თივას და წვნიან საკვებს აძლევენ, სადგომს ასუფთავებენ. განსაკუთრებით უყვართ ხბოების მოვლა.

ბრიგადის წევრებმა თავი ისახელეს რძის წარმოების გადიდებით, შარშან ადგილობრივი ჯიშის თვითეულ ძროხაზე 1.200-ზე მეტი კილოგრამი რძე მოწველეს, ხოლო ბრიგადის მეთაურმა მარიამ ალუდაურმა —1.508 კილოგრამი.

— წელს რას აპირებთ? — ვეკითხებით ალუდაურს.

— თვითეულ ძროხაზე მივიღებთ 1.500 კილოგრამ რძეს, ხოლო 1965 წლისათვის 2.000 კილოგრამს. ამასთან 50 პროცენტით შევამცირებთ პროდუქციის თვითღირებულებას, — ამბობს მარიამი.

— სწავლის გაგრძელებას ფიქრობთ?

— რა თქმა უნდა, თავისუფალ დროს ვემზადებით კიდეც. ვისაც საშუალო განათლება აქვს, უმაღლეს სასწავლებელში მოეწყობა, მე ჯერ საშუალო განათლება უნდა მივიღო და მერე ვნახოთ...

პატარა გოგონაა მარიამი, მაგრამ უკვე მოზრდილი ადამიანის გამოცდილება აქვს. იგი საქართველოს კომკავშირის ყრილობის დელეგატი იყო, ამას წინათ რაიონის მშრომელთა დელეგაციასთან ერთად იმგზავრა დაღისტნის მთებში, ახლოს გაეცნო გუნიბელ მწველავთა შრომას, იქვე დაუმეგობრდა ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წარჩინებულ მწველავს ფატიმატ აგაევას.

ახალგაზრდული სიცილ-კისკისი ისმის მაღაწალის ძირში, უნდა ნახოთ, გოგონები ფერმის წინ რომ გამოვლენ და ერთმანეთს თოვლის გუნდებს უშენენ, თვალები სიხარულით უბრწყინავთ, ლოყები დასწითლებიათ.

ულვაშებში ეღიმება კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ალექსი ხუცურაულს, მაგრამ ხანდახან დაღონდება ხოლმე. რატომ? სასიძოებმა მოუხშირეს სოფელში სიარულს, ალექსის კი ენანება ასეთი გამრჯე ქალიშვილების ფერმიდან წასვლა. შესაძლოა ხუცურაულის ეშვი გამართლდეს და წელს მაღაროსკარში ახალი, კომუნისტური ოჯახები შეიქმნას. არც

მეცნიერება და ტექნიკა



თვითმავალი შასი

ვაკე ადგილებზე მიწათმოქმედებაში გამოსაყენებლად მრავალი სასოფლო-სამეურნეო მანქანა და მექანიზმი არსებობს, მაგრამ ეს ტექნიკა თითქმის გამოუსადეგარია რთული რელიეფის პირობებში.

ჩაის, სუბტროპიკული კულტურებისა და სამთო მიწათმოქმედების სახელმწიფო სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს კოლექტივმა სამთო მიწათმოქმედების მექანიზაციისათვის უკვე შექმნა რამდენიმე საინტერესო მანქანა, რომლებიც მიჩნეულია ამ დარგის ტექნიკის მნიშვნელოვან სიახლეებად. ერთ-ერთი ასეთი სიახლეა თვითმავალი სამთო სამთვლიანი შასი „სშ-16-გ“, რომელსაც ორი თვალი წამყვანი აქვს, ხოლო მესამე — საყრდენ-გამათანაბრებელი. ეს არის ტრაქტორის ნაირსახეობა, რომელსაც შეუძლია ერთნაირი წარმადობით იმუშაოს ვაკეზეც და ფერდობზეც. მთავარ სიახლეს, რაც ამ მანქანას განასხვავებს ანალოგიური ტიპის მანქანებისაგან, წარმოადგენს მასზე მოგებული სპეციალური ავტომატი. ამ ავტომატის საშუალებით მანქანის ჰორიზონტალური მდგომარეობა უზრუნველყოფილია 25 გრადუსამდე დაქანების ფერდობზე საყრდენ-გამათანაბრებელი თვლის სიმაღლის ავტომატური მოწესრიგებით. ცნობილია ისეთი მანქანები, რომლებიც შეიძლება გამოვიყენოთ ფერდობებზე სახნავად, ვენახის რიგთაშორისების დასამუშავებლად, მაგრამ იქ მანქანის თვლების მდგომარეობა ავტომატურად არ წესრიგდება, მანქანის მძღოლი თვლების მდგომარეობას აწესრიგებს ხელის ბერკეტებით.

დასახელებული საკონსტრუქტორო ბიუროს მეექვსე ლაბორატორიის კოლექტივმა (ბიუროს უფროსი კ. ძაგანია) — ნ. კეზელმა, თ. ხუხუნმა, ე. შოლინიკმა, ვ. სანიკიძემ და რ. მუჯირმა შექმნეს ორი მოდიფიკაციის მანქანა ფერდობებზე გაშენებულ ვენახებსა და ჩაის პლანტაციებში სამუშაოდ. ორივე ამ ტიპის მანქანაზე შეიძლება გამოვიყენოთ სხვადასხვა სამუშაოთა შესრულებისათვის განკუთვნილი საკიდი აპარატები და მათი საშუალებით განვახორციელოთ რიგთაშორისების ხვნა, კულტივაცია, ნიადაგის გაფხვიერება, ვაზის ან ჩაის ბუჩქის შეწამვლა, გოგირდის შეფრქვევა, აგრეთვე ჩაის ბუჩქების შპალერული გასხვლა და ჩაის ფოთლის კრეფა.

ჩაის ფოთლის საველე დამხარისხებელი

შარშან ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში გამოსცადეს მოკრეფილი ჩაის ფოთლის დამხარისხებელი საველე მანქანა, რომელიც შექმნილია ჩაის, სუბტროპიკული კულტურებისა და სამთო მიწათმოქმედების სახელმწიფო სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს მეორე ლაბორატორიის (უფროსი ვ. ჭელიძე) კოლექტივის მიერ. მუშაობის პერიოდში შემჩნეულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად კონსტრუქტორებმა უკვე დაამთავრეს მუშაობა და ჩაის კრეფის მომავალი სეზონის დასაწყისიდანვე მას ხელახლა გამოსაცდელად გაიტანენ პლანტაციაში.

დიდი მუშაობა გასწიეს კონსტრუქტორებმა იმისათვის, რომ მანქანამ არ გაატაროს ჩაის ხმელი ფოთოლი და მას არ გააყოლოს ნაზი ფოთოლიც.

ჩაის ფოთლის დამხარისხებელი გაუმჯობესებული საველე მანქანა ყოველ საათში ახარისხებს 250-300 კილოგრამ მოკრეფილ ფოთოლს.

ელექტროწიდური შედუღება

კიევი, 18 თებერვალი (საკდისი). სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების საკონტროლო ციფრებში გათვალისწინებულია ფართოდ დაინერგოს შედუღების სამუშაოები პატონის მეთოდით, კერძოდ ელექტროწიდური შედუღება. ამ პროგრესულმა ტექნოლოგიამ გადაწყვიტა თანამედროვე მძიმე მანქანათმშენებლობის ერთ-ერთი ურთულესი პრობლემა, რომ შესაძლებელია მსხვილი შედუღებული ნაკეთობა დამზადდეს საკედი და ლითონდასამუშავებელი მოწყობილობის გამოუყენებლად. ახლა მარტივი ფორმით ცალკეული სხმულის, ნაჭედობისა და ნაგლინისაგან შეიძლება ავაწყოთ და შევადუღოთ ყოველგვარი ზომისა და მოხაზულობის ლითონკონსტრუქციები, რომელთა გაკეთება შეუძლებელია მსოფლიოში ყველაზე მძლავრი მოწყობილობით.

მსხვილი მანქანებისა და აგრეგატების წარმოების ტექნოლოგიის ძირეული გაუმჯობესება საშუალებას გვაძლევს უარი ვთქვათ უდიდესი სამსხმელო და სამჭედლო-საწნები საამქროების აგებაზე, იქ მძლავრი ლითონდასამუშავებელი და საამწეო-სატრანსპორტო მოწყობილობის დადგმაზე. ეს კი ბევრად აიაფებს საწარმოთა მშენებლობას, ზოგავს ასეულ მილიონობით მანეთს.

ელექტროწიდური შედუღებისა და მთელი რიგი ავტომატების გამოყენების გამოცდილება ე. ო. პატონის სახელობის ელექტროშედუღების ინსტიტუტმა გადასცა ჩინეთის, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკების, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მრეწველობას.

ელექტროწიდური შედუღებისადმი დიდ ინტერესს იჩენენ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთის, ბელგიისა და მთელი რიგი სხვა ქვეყნების სპეციალისტები, რომელნიც ჩვენი ავტომატების მუშაობას გაეცნენ ბრიუსელის საერთაშორისო გამოფენაზე.

შეეცის უდიდესმა ფირმამ „ესაბმა“, რომელიც შესადუღებელ მოწყობილობას უშვებს, უკვე შეუსყიდა საბჭოთა ლიცენზია ელექტროწიდური შედუღების ხერხისა და უფლება აწარმოოს ორი ტიპის აპარატები, გაყიდოს ისინი და გამოიყენოს ფინეთში, ნორვეგიაში, დანიაში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ინგლისსა და სხვა ქვეყნებში.

ჩინელები და აკაკი წერეთელი

აკაკისათვის 1904 წლის 2 ოქტომბერი საბედნიერო გამოდგა. მას ღამით დამბლა დაეცა... მხოლოდ მეოთხე დღეს მოიხედა მძიმე ავადმყოფმა...

პოეტის მძიმე ავადმყოფობა მწვავედ განიცადა ქართველმა ხალხმა, რომელმაც საყვარელი მგოსნისადმი უსაზღვრო თანაგრძნობა გამოიჩინა. ავადმყოფი პოეტისათვის წერა-კითხვის გამავცელებელი საზოგადოების გამგეობას თავისი მცირე სახსრებიდან ყოველთვიურად 30 მანეთი დაუნიშნავს. ქუთაისში გამართულა მგოსნის მეგობრებისა და თაყვანისმცემლების დიდი კრება. აქ აურჩეიათ ავადმყოფი მგოსნის დამხმარე კომიტეტი, რომელსაც ფართო კამპანია გაუშლია შემოწირულების შესაგროვებლად და პოეტის საზღვარგარეთ სამკურნალოდ გასაგზავნი ფონდის შექმნისათვის.

კომიტეტის მოწოდებას მხურვალედ გამოხმაურებია არა მარტო ქართველი ხალხი, არამედ უზარმაზარი რუსეთიც და უცხოეთიც კი. შორეული კუთხეებიდანაც მოსულა მადლიერი კეთხველების დანაზოგი პოეტის განსაკურნავად.

ამ ამბის გამო 1905 წლის „ივერიაში“ (№ 22) აკაკი წერდა:

„შორეულ აღმოსავლეთში მყოფ ქართველებს მუდენიდან გამოუგზავნიათ ჩემს სახელობაზე არსებული ფონდისათვის ასი (100) თუმანი. მათი სახელი და გვარი მოხსენებულია წერილში ვრცლად, თავართქილაძისაგან. რადგანაც აქ საგულისხმოა ჩემგან სხვების მიერ მოგონება პატივისცემის ნიშნად, და არა ფულის რაოდენობა, ამისათვის უგულითადეს მადლობას ვწერავ ყველას მათ ერთად და თვითეულ მათგანს ცალცალკე. მაგრამ აღარ ვიცი, რითი უნდა გადავუხადო მათი თანაგრძნობა იმ უცხოელებს — ჩინელებს, რომელთაც არ დაუშურებიათ თავიანი მხრით მათი წვლილი. ალბათ ჩვენს თანამემამულეთ კეთილად ვუხსენებიგვართ მათთან და მეც მათ პატივცემას სამარეში თან ჩავიტან. ეს უცხოელები არიან იან-იუ, ჯან პო-ლინ, დიუ ჯე-ლინ და სი ვან-პო“.

ახალი წლისათვის აკაკი საგრძნობლად გამოკეთებულა და იმ ხანად სიკვდილს გადარჩენია...

გავიდა წლები...

ამ ცოტა ხნის წინათ საჩხერეს, აკაკის სამშობლოს, ესტუმრა ჩინელ სპეციალისტთა ჯგუფი. მათ აქ ჩამოსვლის პირველ დღესვე ინახულეს დიდი აკაკის სახლი-მუზეუმი. ჩინელმა მეგობრებმა სიამაყით აღნიშნეს, რომ აკაკის ზოგი ლექსი თარგმნილია ჩინურად და დიდი პოპულარობით სარგებლობს ჩინეთში.

ჩინელმა მეგობრებმა აკაკის სახლ-მუზეუმში სამახსოვრო მოქარგული ქსოვილი დატოვეს და შთაბეჭდილებათა წიგნში ჩაწერეს:

„გამოვთქვამთ უღრმეს პატივისცემას დიდი ქართველი ხალხისა და მისი დიდი ეროვნული პოეტის აკაკი წერეთლისადმი. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პიდროლოგ-სპეციალისტთა ჯგუფის სახელით: სე ძია-ძე, ჩენ რაო-ხონ, ჩენ ძია-ცი“.

პ. ჭიოკაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ერთიანობის გზით

არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკის შექმნის პირველი წლისთავის გამო



მდინარე ნილოსი კაიროსთან.

• • •

დღეს სრულდება ერთი წელი მას შემდეგ, რაც შეიქმნა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა, რომელმაც ერთი ეროვნული სახელმწიფოს ფარგლებში შეაკავშირა სირია და ეგვიპტე. ეს ისტორიული მოვლენა დიდი ზეიმით აღინიშნება არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში.

სირია-ეგვიპტის გაერთიანებას საფუძვლად დაედო არაბთა გაძლიერებული სწრაფვა ეროვნული ერთიანობისაკენ მათი თავდადებული ანტიიმპერიალისტური შრძოლის პროცესში. სირია-ეგვიპტის გაერთიანებას არაბულ აღმოსავლეთში შეხვდნენ როგორც ანტიიმპერიალისტური ძალების ფრონტის განმტკიცების ფაქტორს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობაზე წარმოთქმულ მისასალმებელ სიტყვაში სირიის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა ჰალედ ბაგდაშმა ხაზგასმით აღნიშნა: „ჩვენ, სირიელ კომუნისტებს, ისევე როგორც სხვადასხვა შეხედულებათა მქონე ყველა პატრიოტ არაბს, არაბთა ერთიანობა უპირველეს ყოვლისა გვესმის როგორც იმპერიალიზმისაგან განთავისუფლებისათვის მოძრაობა. არაბთა ერთიანობის საფუძველს უნდა წარმოადგენდეს იმპერიალიზმისაგან განთავისუფლება, შეუპოვარი ბრძოლა იმპერიალიზმის წინააღმდეგ. ამასთანავე საჭიროა გათვალისწინებულ იქნას ცალკეულ არაბულ ქვეყნებში შექმნილი ობიექტური პირობები და, ბოლოს, არაბთა ერთიანობა უნდა ეყრდნობოდეს ჭეშმარიტად დემოკრატიულ საფუძველს“.

იმპერიალისტებს და მათ დამქაშებს აშინებთ არაბთა ერთიანობა, რადგან იგი მიაჩნიათ თავიანთი მტაცებლური ზრახვებისადმი არან ხალხთა წინააღმდეგობის მძლავრ იარაღად. ინტრიგებისა და შეთქმულებების ‘ქსელის გაბმით იმპერიალისტები ცდილობენ გათიშონ არაბი ხალხები. არაბთა ერთიანობის ისტორიულად კანონზომიერი პროცესის შეფერხებისა და არაბულ აღმოსავლეთში თავიანთი ეკონომიური პოზიციების შენარჩუნების მიზნით იმპერიალისტური პროპაგანდა ამჟამად ცდილობს ერთმანეთს დაუპირისპიროს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა და ერაყის რესპუბლიკა. ამასთანავე სსრ კავშირსა და არაბულ ქვეყნებს შორის დამყარებული მჭიდრო კულტურული და ეკონომიური თანამშრომლობისათვის ხელის შეშლის შიზნით უკანასკნელ ხანებში კოლონიზატორებმა აღვირახსნილი ანტიკომუნისტური პროპაგანდა გაიჩაღეს არაბულ აღმოსავლეთში. ისინი არაბული ქვეყნების მმართველ წრეებს აშინებენ „კომუნიზმის საფრთხით“ და ამით სურთ ლახვარი ჩასცეს პროგრესულ ძალებს, გათიშონ კოლონიზატორთა წინააღმდეგ არან ხალხთა ბრძოლის ერთიანი ეროვნული ფრონტი. არაბი ხალხები თავგამოდებით იბრძვიან თავიანთი ქვეყნების დემოკრატიული კურსით განვითარებისათვის და გმობენ შინაური რეაქციის ხროვებს.

საბჭოთა კავშირის აქტიური მხარდაჭერის მეოხებით არაბმა ხალხმა ჩაშალა იმპერიალისტების მიერ არაბთა ერთიანობის დარღვევის მიზნით ეგვიპტის წინააღმდეგ 1956 წელს გაჩაღებული აგრესია, სირიის რესპუბლიკის წინააღმდეგ 1957 წელს მსგავსი სამხედრო ავანტიურის მოწყობის ცდა და იძულებული გახდა ინგლისელ-ამერიკელი კოლონიზატორები წაეყვანათ თავიანთი საკუთაციო ჯარები ლიბანისა და იორდანიის ტერიტორიიდან 1958 წელს.

სოციალისტური ქვეყნები ეხმარებიან არაბულ სახელმწიფოებს საკუთარი ეროვნული მრეწველობის შექმნასა და მეურნეობის შემდგომ განვითარებაში. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის მიერ მიღებული შვიდწლიანი გეგმის განხორციელება ახალ შესაძლებლობებს ქმნის მრეწველობის მხრივ სუსტად განვითარებულ არაბულ ქვეყნებთან სსრ კავშირის ეკონომიური თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისათვის. „საბჭოთა კავშირი და სხვა სოციალისტური ქვეყნები განმტკიცებენ მეგობრულ ურთიერთობას იმ ქვეყნებთან, რომლებიც განთავისუფლდნენ კოლონიური ჩაგვრისაგან, უწყვეტ და ძველაც გაუწევენ მათ დახმარებას“, — თქვა ნ. ს. ხრუშჩოვმა მოხსენებაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობაზე.

არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას დიდი ბუნებრივი სიმდიდრე და ფართო შესაძლებლობა აქვს თავისი ეროვნული ეკონომიკის აღორძინება-განვითარებისათვის. ჯერ კიდევ გაერთიანებამდე სირიისა და ეგვიპტეში მიღებულ იქნა ზომები ეკონომიური დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის. ორივე ნაწილში ხორციელდება აგრარული რეფორმა, რომელიც საგრძნობლად ზღუდავს მსხვილ მიწათმფლობელობას და ძირს უთხრის ფეოდალურ გადმონაშთებს. სუეცის არხის კომპანიის ნაციონალიზაციამ ეგვიპტეში და უცხოთა მთელი რიგი საწარმოების ნაციონალიზაციამ რესპუბლიკის ორივე ნაწილში ხელი შეუწყო უცხოთის კაპიტალის შეზღუდვას და ეროვნული ეკონომიკის განვითარებას.

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა თავისი არსებობის პირველი დღეებიდანვე მხარს უჭერს საბჭოთა მთავრობის მშვიდობისმოყვარეულ ნაბიჯებს, რომელთა მიზანია ომის საფრთხის თავიდან აცილება და საყოველთაო უშიშროების უზრუნველყოფა.

ნაყოფიერად ვითარდება არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ეკონომიური თანამშრომლობა საბჭოთა კავშირთან. 1958 წელს სსრ კავშირსა და არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას შორის დაიდო სპეციალური სავაჭრო-ეკონომიური შეთანხმება, რომლის თანახმად ეგვიპტური ბამბისა და სხვა ნედლეულის სანაცვლოდ სსრ კავშირი არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას აწვდის იარაღ-მანქანებს, ტრაქტორებს, სამრეწველო მოწყობილობას, ეხმარება საირიგაციო ქსელის გაფართოებაში და 75 სხვადასხვა სამრეწველო ობიექტის მშენებლობაში რესპუბლიკის ორივე ნაწილში. სსრ კავშირი მონაწილეობს მთელ აღმოსავლეთში უდიდესი მეტალურგიული კომბინატის — ჰელუანის კომბინატის მშენებლობის გაფართოება-დასრულებაში. ამასთან ერთად არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას მიეცა შეღავათიანი სესხი დაახლოებით 1 მილიარდი მანეთის ოდენობით 12 წლის ვადით, წლიურად 2,5 პროცენტის ანგარიშით, გარდა ამისა, გასული წლის ბოლოს სსრ კავშირმა არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას ეგვიპტის რაიონში ნილოსზე ასუანის ახალი დიდი კაშხალის მშენებლობისათვის დამატებით მისცა სესხად 400 მილიონი მანეთი.

თავისი არსებობის მანძილზე არაბთა გაერთიანებულმა რესპუბლიკამ მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა მრეწველობის განვითარებაში. შარშან რესპუბლიკის ეგვიპტის რაიონში აშენდა ჰელუანის მეტალურგიული კომბინატის პირველი რიგი და დიდი ნავთობგადასამუშავებელი ქარხანა. სირიის რაიონში მიღწეულია მნიშვნელოვანი პროგრესი ნავთობის მრეწველობის განვითარებაში. ჰ. ჰომსში მთავრდება დიდი ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის მშენებლობა. დამასკოს მახლობლად მდინარე ბარადაზე აშენდა მძლავრი ჰიდროელსადგური.

ასუანის კაშხალის მშენებლობას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ეგვიპტის რაიონის ეკონომიკის განვითარებისათვის. მისი საშუალებით ათვისებული იქნება თითქმის 800 ათასი ჰექტარი სარწყავი სათესი მიწის ფართობი, რაც დაახლოებით 30 პროცენტით გაზრდის სახნავ-სათესი მიწის საერთო ფართობს. ასუანის ახალ კაშხალთან განზრახულია აიგოს ელექტროსადგური, რომელიც წლიურად 10 მილიარდ კილოვატ-საათ ელექტროენერგიას გამოიმუშავებს.

საბჭოთა ხალხი, რომელიც მუდამ მხარში უდგას აღმოსავლეთის ხალხებს მათს თავდადებულ ანტიიმპერიალისტურ ბრძოლაში, შემდგომ წარმატებებს უსურვებს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ხალხს პოლიტიკური და ეკონომიური დამოუკიდებლობის, დემოკრატიული განვითარებისა და არაბთა ერთიანობის განმტკიცების საქმეში.

შ. კურდღელაშვილი,
ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

მეგობროგის საღამო თბილისში

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის შექმნის პირველ წლისთავს მიეძღვნა საბჭოთა კავშირის ხალხთა და არაბ ხალხთა მეგობრობის საღამო, რომელიც საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების აღმოსავლეთმცოდნეობის სექციამ მოაწყო 20 თებერვალს თბილისში.

საღამოზე შეიკრიბნენ თბილისის საზოგადოებრივობის წარმომადგენლები — მეცნიერები, მწერლები, ხელოვნების მოღვაწეები, ჟურნალისტები, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა, სამრეწველო საწარმოების კოლექტივთა წარმომადგენლები, სტუდენტები.

საღამო გახსნა საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის რესპუბლიკური საზოგადოების აღმოსავლეთმცოდნეობის სექციის პრეზიდენტმა, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა დ. კობიძემ.

მოხსენება „არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა“ გააკეთა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა შ. კურდღელაშვილმა.
(საქდისი).

ორიგინალური სპექტაკლი

თეატრი

კ. გუაჩიძის „ამბავი სიყვარულისა“ რუსთაველის სახელობის თეატრის სცენაზე

მთელი რიგი წლების მანძილზე ცუდად გაგებული „აკადემიურობა“ იმ მძიმე ურდულის როლს ასრულებდა, რომლითაც რუსთაველის თეატრის სცენა ქართველი საბჭოთა დრამატურგებისათვის ირაზებოდა. იმ ხანად ამ თეატრის ზოგიერთ „წმყვან“ მუშაკსაც თვალი მხოლოდ უცხოურ კლასიკაზე ეჭირა.

ამიტომ ფრიად სასიხარულოა, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე რუსთაველის თეატრმა დასძლია ეს საზიანო გულიკობა ეროვნული დრამატურგიისადმი, რასაც შედეგად არა ერთი თანამედროვე ქართული პიესის დადგმა მოჰყვა. მართალია, ზოგიერთი კვერი სცენაზე ჩანაცარული გამოცხვა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, თეატრი ფართოდ უღებს კარს ქართულ საბჭოთა დრამატურგიას.

მაგრამ თუ ეს ნაკლი დაძლეულ იქნა, ამას ვერ ვიტყვით მეორე სერიოზულ ნაკლოვანებაზე (რომელიც მხოლოდ ქართულ დრამას არ ახასიათებს), ეს ჩვენი თეატრების ეანრობრივი დიაპაზონის შეზღუდულობაა, სტილის, შემოქმედებითი პროფილის ნიველირების და უნიფიცირების მავნე ტენდენციები.

ამიტომ ყოველი ახალი, თამამი ნაბიჯი თეატრსა და დრამატურგიაში (რა თქმა უნდა, ღრმად გააზრებული, დროული და საჭირო) საგანგებო ყურადღებისა და კეთილგანწყობილი კრიტიკის ობიექტი უნდა გახდეს. სწორედ ასეთ დამოკიდებულებას მოითხოვს დრამატურგ კიტა ბუაჩიძის პიესა „ამბავი სიყვარულისა“.

რუსთაველის თეატრის ხელმძღვანელების სანაქებოდ უნდა ითქვას, რომ მათ დაინახეს ამ პიესის ორიგინალურობა, ამოიცნეს ერთი შეხედვით ძლიერ უბრალო, ნამდვილად კ. მეტად პლასტიკურ ფორმაში გახვეული საყურადღებო შინაარსი. დამდგმელმა კოლექტივმა რეჟისორ **მიხეილ თუმანიშვილის** მეთაურობით ორიგინალური სცენიური ფორმა მოუნახა ამ თავისებურ პიესას და შექმნა მხატვრულად საინტერესო, მიმზიდველი სპექტაკლი.

სპექტაკლის წარმატების უპირველესი მიზეზი თვით პიესაა, რომელიც ერთგვარად აფართოებს თანამედროვე ქართული დრამატიული მწერლობის ეანრულ არეს. პიესის ავტორმა **კ. ბუაჩიძემ** კიდევ ერთხელ ცხადყო თავისი მხატვრულ-დრამატურგიული ნიჭიერება. კ. ბუაჩიძე უაღრესად ორიგინალური შემოქმედია. მისი პიესები („აურიე რგოლი“, „მკაცრი ქალიშვილები“, „ვარდი ასფურცლოვანი“, „ეზოში ავი ძაღლია“, „ამბავი სიყვარულისა“) სიახლით გამოირჩევიან. კ. ბუაჩიძე უმთავრესად საყოფაცხოვრები დრამის სფეროში ტრიალებს, მაგრამ მის მიერ წამოწეული თითქოსდა წვრილმანი საკითხები განზოგადებისა და ოსტატური გაშუქების წყალობით საზოგადოებრივად საყურადღებო მოვლენებამდე მაღლდებიან.

ჯეთი თვისებებით გამოირჩევა მისი უკანასკნელი პიესაც, რომელშიც ორგანულად არის შერწყმული სერიოზული დრამის, ლირიკული და სატირული კომედიების ელემენტები. უფრო მეტიც, დრამატურგი არ მოერიდა ესტრადისათვის ნიშნეული ზოგიერთი მომენტის პიესაში შეტანასაც, რამაც პიესას და სპექტაკლს უაღრესად თავისებური კოლორიტი მისცა. ამ თამამი ექსპერიმენტის შედეგად მივიღეთ არა „დრამატურგიული კონგლომერატი“, არამედ გარკვეული მიზანდასახულობისა და მთლიანობის ნაწარმოები.

გარეგნულად მარტივი ფაბულა და მეტად სადა სიუჟეტი შინაარსობრივად „ტევადი“ აღმოჩნდა და ხალისიან სიცილთან ერთად არა ერთი საკირბოროტო საკითხი „შემოგვაპარა“, არა ერთ საგანზე ჩაგვაფიქრა.

პიესა ახალგაზრდობის ყოფაცხოვრების თემას ეძღვნება. დადებითი ტენდენციების მინიშნებასთან ერთად (საბჭოთა ახალგაზრდობის წინმსწრაფი, სუფთა, შემტევი ბუნება) ავტორმა თამამად გაიალაშქრა ზოგიერთი ახალგაზრდისათვის დამახასიათებელი ნაკლოვანებების წინააღმდეგ და კარგად მიგნებული მხატვრული საშუალებებით მოხერხებულად ამხილა ის, რასი სხვანაირად თქმაც ან მოსაწყენ პუბლიცისტიკაში გადავიდოდა ან გულმოსაყრელ პლაკატურობასა და ბანალობაში. კრიტიკული ელემენტი, რომელიც უარყოფთ ტენდენციებთან ბრძოლის პათოსით არის შთაგონებული, პიესის გაცხოველებისა და კოზმის შეტანის მთავარ წყაროს წარმოადგენს. ავტორმა მახვილად გაკიცხა თანამედროვე ახალგაზრდა მეშჩანები და ობივატელები, რომელთა მთავარ სტიმულს იოლი ცხოვრებისაკენ სწრაფვა წარმოადგენს.

მცირეოდენი ვოდევილური ელფერის მიუხედავად „ამბავი სიყვარულისა“ უპირატესად ხასიათების დრამაა. მოქმედ პირთა შინაგანი ბუნების გახსნის დროს (ისევე როგორც დრამატიული სიტუაციების ჩვენების დროს) ავტორი ე. წ. ნიუანსური ხატვის ხერხს იყენებს და ცალკეული მეტყველი შტრიხების, ნახევრადტონების, ნახევარფრაზების დახმარებით, სიმბოლიკის მოხერხებული გამოყენებით ოსტატურად ქმნის იმ ქვეტექსტს, იმ „წყალქვეშა დინებას“, რომელიც პიესას უაღრესად თავისებურ ელფერს სძენს. აღსანიშნავია საოცრად სხარტი დიალოგი (მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ მას ენობრივი ნატურალიზმის კვალიც ემჩნევა).

რეჟისორმა მ. თუმანიშვილმა ამ თავისებურ პიესას ღრმად შესატყვისი სცენიური ფორმა მოუნახა და მხატვრული გამომგონებლობის, შინაგანი ტაქტის, სცენიური ფორმების კარგად დაუფლების წყალობით მიაგნო პიესას საინტერესო სცენიურ ინტერპრეტაციას, რომელიც განაგრძობს და აგვირგვინებს ავტორის მიერ ადებულ გეზს ტრადიციული ჟანრის ახალი ელემენტით გამდიდრება-გამრავალფეროვნებისაკენ.

გულწრფელ მოწონებას იმსახურებს **ო. ლითანიშვილის** მხატვრული გაფორმება, რომელშიც მკაფიოდ მოჩანს მდიდარი ფანტაზია, კარგი გემოვნება და თეატრალურ-დეკორაციული ხელოვნების სპეციფიკის ღრმა გათვალისწინება. მხატვარმა მართებულად გაიაზრა პიესის სტილობრივ-შინაარსობრივი თავისებურება და ორიგინალური კონსტრუქციების დახმარებით შექმნა დასამახსოვრებელი სცენიური გარემო, რომელიც ხელს უწყობს მოქმედების განვითარებას, შინაარსში უკეთ ჩაწვდომას და მაყურებელზე უფრო მძაფრი ესთეტიკური ზემოქმედების მოხდენას.

ამოცანის ასეთივე მართებული გაგებით და კარგი გადაწყვეტით გამოირჩევა **ბ. კვერნაძის** მუსიკალური გაფორმებაც.

მაგრამ უმთავრესი, რაც ამ სპექტაკლის წარმატებას განაპირობებს, ეს არის აქტიორული შესრულების მაღალი დონე. მაყურებელს ხიბლავს მსახიობთა შესანიშნავი თამაში, მათი კარგად შეწყობილი ანსამბლი. უყურებ ნიჭიერ შემსრულებლებს, რომელთა უმრავლესობა ამ ათი-თორმეტი წლის წინ დებიუტანტად გვევლინებოდა და რწმუნდები, რომ ქართული თეატრის დიდოსტატებს ღირსეული ცვლა გაეზარდათ.

ხალისიანი, სცენიურად მიმზიდველი და უაღრესად პლასტიკური სახე შექმნა **მ. ჩახავამ** იამზე მატაბელის როლში. მან კიდევ ერთხელ გამოავლინა ის შინაგანი სიმართლე, გრაცია და მომხიბლავობა, რომელიც ამ მდიდარი სცენიური შესაძლებლობის მქონე მსახიობს ახასიათებს. მ. ჩახავამ დამაჯერებლად განასახიერა პირველი სიყვარულით აღელვებული ქალიშვილი, რომელსაც წმინდა იდეალები, თამამი, მტკიცე ბუნება და საბჭოთა ახალგაზრდობისათვის დამახასიათებელი ნიშნთვისებები მოსდგამს.

ოსტატობით, შინაგანი ტაქტითა და ხასიათის ღრმა, მართალი გახსნით გამოირჩევა **ს. ყანჩელის** თამაში, მან ჩინებულად განასახიერა ლამაზი ბუნებრივი, მაგრამ შეზღუდული გონებისა და მიზანსწრაფვის ქალიშვილი იელიტე, რომლის აზრითაც ინსტიტუტში სწავლა მხოლოდ საშუალებაა ხელსაყრელად გათხოვებისათვის.

ე. ვარნაძემ ამჯერადაც ცხადყო ნიჭიერი სახასიათო მსახიობის თვისებები, მან რეალისტურად გახსნა და დამაჯერებლად დაგვიხატა ფარდოლის გამყიდველის, კვიმატი და მოხერხებული ქალის, კოკონას სახე.

ფართო შემოქმედებითი დიაპაზონის მსახიობმა **გ. გეგეჭკორმა** ბრწყინვალედ განასახიერა საქმის მოყვარული და გულსაყურადღებო მწვრთნელის ეკვი.იმე ქათამაძის როლი. მან საოცარი ოსტატობით დაგვიხატა „ხარისხმანიით“ დაავადებული ადამიანი, რომელიც თუმცა სრულიად არა სწამს თავისი მეცნიერული „ეთიკა“ წაბიძგებებით მაინც „იცავს“ დისერტაციას და „მეცნიერ ად“ ეკურთხება. გ. გეგეჭკორმა გმირის ხასიათის ოსტატური, თანამიმდევრული გახსნით ამ სპექტაკლშიც შესანიშნავი სცენიური სახე შექმნა.

მოქმედი პირის ბუნებაში ღრმად ჩაწვდომით და მხატვრული დამაჯერებლობით გამოირჩევა **რ. ჩხიკვაძის** მიერ ხალსაი ოსტატობით ჩამოქნილი და დიდი ტემპერამენტით შესრულებული სახე გულუბრყვილო, ჯერ კიდევ ხალხში გამოუსვლელი, ფიცხი და პირდაპირი ფშაველი ჭაბუკისა, რომელსაც დიდებული ფიზიკური მონაცემები აქვს და რომელიც თავისი მწვრთნელის ხელმძღვანელობით დიდი სპორტული კარიერისათვის ემზადება. რ. ჩხიკვაძემ დასძლია შტამპისა და ტრაფარეტულობის ის საფრთხე, რომელიც ხში სოფლელის ქალაქში მოხვედრის ჩვენებასთან არის ხოლმე დაკავშირებული.

შესრულების ასეთივე მაღალი პროფესიონალური დონით, როლის ალეოიანად მიგნებული გაპრეტებით, განცდათა სიხალასითა და ექსპრესიით გამოირჩევა **მ. იეგიეკორიცა** და **კ. მახარაძის** თამაში. ამ მსახიობებმა მათ მიერ განსახიერებული როლების ნაკლები სუფეტური დატვირთულობის მიუხედავად შექმნეს სახეები, რომლებიც მაყურებლის ესთეტიკურ განცდაში ცენტრალურ ადგილს იკავებენ.

პირდაპირ დაუვიწყარია მ. გეგეჭკორის მიერ ხორცშესხმული ნახევრად ეპიზოდური როლი სტადიონის კომენდანტ სევარეონისა, რომელსაც უწერ „საპასუხისმგებლო ადგილი“ სჭერია, მაგრამ ცოდვებს გადაჰყოლია.

„აფთარი იყო, ეხლა კურდღელს დამსგავსებია“, —ამბობს მასზე ვეფხვი, რომელმაც თავის ტყავზე გამ ალცადა მისი მრეტე სამართალი.

ასეთივე მართალი და დამაჯერებელია ერთხას წაფორხილებული, მაგრამ ამჟამად კეთილ გზაზე შემდგარი ჭაბუკის ლერო ქანდარიძის როლში **კ. მახარაძე.** მიუხედავად იმისა, რომ ეს სახე პიესაში სქემატიზმის კვალს ატარებს, ნიჭიერმა მსახიობმა კეთილმობილი არტისტიზმითა და შინაგანი დამაჯერებლობით დაგვიხატა ამ ყმაწვილის რთული, გულჩათხრობილი ბუნება. მან კარგად დაგვანახვა ის ნიღაბი, რომელსაც ლერო იფარებს, რათა ირგვლივ მყოფნი თავის საჩვენებელ განურჩევლობასა და ქალებისადმი გულაცრუებულობაში დაარწმუნოს. პიესის ფინალში უეცრად აღმოცენებული სიყვარულისა და მეგობრული ზემოქმედების წყალობით ლეროს გულცივობა სასიკეთოდ მიმართულ ქმედით ენერგიაში გადადის.

სამწუხაროდ, ჩვენს თეატრებში მხატვრული კითხვისა და ქართული მეტყველების დონე ვერა დგას სათანადო სიმაღლეზე. ამიტომ განსაკუთრებით აღსანიშნ

ესტრადაზე არიან თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტის სტუდენტები

გული მღერის

ტალინელ და ლენინგრადელ მეგობრებთან

ტრასტებია ტალინში ძველსა და ახალ უბნებს შორის. ჩვენ ეცხოვრობდით სასტუმრო „ლაიში“. ლაი ქართულად ნიშნავს განიერს. ეს სახელწოდება ესტონელებს ძველათ შეურქმევიათ იმ ქუჩისათვის, სადაც ეს სასტუმროა. ძველ ტალინში ლაი მართლაც ყველაზე განიერი ქუჩა ყოფილა. ახალ, სოციალისტურ ტალინში კი ქუჩა „ლაი“ თითქმის ყველაზე ვიწროა. დავათვალიერეთ მუზეუმები, კინოსტუდია, უმაღლესი სასწავლებლები, ქარხანა „ვოლტა“ და სხვ. მოუშები გულთბილად გვხვდებოდნენ, მოგვითხრობდნენ თავიანთ შრომითს წარმატებებზე, რომლებიც. მოპოვებული ჰქონდათ ყრილობისწინა შეჯიბრებაში. დაუვიწყარია რადიომიმღებების ქარხნის მუშებთან შეხვედრა. ქარხნის დათვალიერების შემდეგ საამქროში გავმართეთ კონცერტი. სცენიდან ალარ გვიშვებდნენ, თვითეული ნომრის ვამორებას გვთხოვდნენ. შესვენების დრო კი იწურებოდა. ქარხნის ხელმძღვანელებმა დიდი მადლობა გადაგვიხადეს, თან მეგობრულად გვისაყვედურეს: „თქვენ ჩვენი მუშების გული თან მიგაქვთო“.

22 იანვარს კონცერტი გავმართეთ ტალინის ოფიცრთა სახლში. დარბაზი სავსეა, ფეხზეც კი დგანან. ჩვენი დელეგაციის სახელით ტალინის ახალგაზრდობას მივესალმა დ. ჟორჟოლიანი. თბილისს კომკავშირის საქალაქო კომიტეტის წარმომადგენელი ამხ. ნ. ცხაკაია ასაზუქრებს მეზღაურებს. საზეიმო ცერემონიალი დამთავრდა. დაიწყო კონცერტი. მაყურებლები სულგანაბული უსმენენ სიმღერებს პარტიაზე, სამშობლოზე, ახალგაზრდობაზე. ყოველი ნომრის შესრულების შემდეგ მაყურებლები თავის აღტაცებას ხანგრძლივი ოვაციებით გამოხატავენ. ქართულ ოროველას ესპანური სიმღერა ცვლის, რუსულ „მოსკოვურ საღამოებს“ — ასარიული სიმღერა, ციკვა „ქართულს“ — ყაზეგური და ფარიკაობა (ქორეოგრაფი ი. ორჯონიკიძე), აკრობატულ ნომერს — ვაჟთა კვარტეტის მიერ ოსტატურად შესრულებული „დიელო“. ჩრდილოეთელი მაყურებლები ტრადიციას არღვევენ და გაჰყვიროან „ბის“, „ბის“. ბევრი ნომრის გამეორება უხდებათ ანსამბლის წევრებს.

მეზღვაურები აღფრთოვანებული იყვნენ ქართული ხელოვნებით.

ტალინის რადიოკომიტეტმა როკერ გადასცა ჩვენი ანსამბლის კონცერტი რადიომსმენელთათვის, ტალინის კინოსტუდიამ კი ფირზე აღბეჭდა იგი.

ჩვენი შთაბეჭდილებებიდან მაინც ყველაზე დასამახსოვრებელი იყო საღამო, რომელსაც ტალინელებმა თბილისისა და ტალინის ახალგაზრდობის მეგობრობის საღამო უწოდეს. ამ საღამოზე ესტონეთის კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. კ. პანტელეევამ და კომკავშირის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. დ. ბრუნსმა ანსამბლსა და მის წევრებს გადასცეს ესტონეთის კომკავშირის ცენტრალური კომიტეტისა და საქალაქო კომიტეტის სამადლობელი სიგელები. შემდეგ კი გაიმართა დიდი კონცერტი.

25 იანვარს ვესტემრეთ ტალინის უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლებს. სტუდენტებმა გულთბილი შეხვედრა მოგვიწყეს. მათ აინტერესებდათ, თუ როგორ ცხოვრობენ და შრომობენ ქართველი ახალგაზრდები. ჩვენც ვაკმაყოფილებდით მასპინძლების ცნობისმოყვარეობას. სტუდენტებმა შესანიშნავი საჩუქარი გვიღვნეს — მხატვრულად გაფორმებული, ქართული ორნამენტებით მოვარაყებული ტყავის ალბომი წარწერით: „არ შეგვიძლია მზე მოვიძოვნოთ, მაგრამ გიძღვნით ჩვენი გულის სითბოს“.

ვაგზალში ვართ. ბაქანზე ტევა არ არის. ტალინის ახალგაზრდობა ქართველი მეგობრების გასაცილებლად მოსულა. ისმის მხიარული სიცილი. მეგობრები ემშვიდობებიან ერთმანეთს.

* * *

26 იანვარს უკვე ლენინგრადში ვართ. ბევრი ჩვენგანი ამ ისტორიულ ქალაქში პირველად არის. ამიტომ გასაკვირველი არაფერი იყო ის ფერი, რომლითაც ჩვენი დელეგაციის წევრები ქალაქის ღირსშესანიშნაობებსა და ისტორიულ ადგილებს ათვალიერებდნენ. დავათვალიერეთ კრეისერი „აურორა“, რომლის ხალპებმა 1917 წლის ოქტომბერში მთელ მსოფლიოს აუწყა, რომ დაიწყო ახალი ერა კაცობრიობის ისტორიაში. დიდი შთაბეჭდილება დატოვა ჩვენზე რუსული მუზეუმისა და ერმიტაჟის დათვალიერებამ. ლენინგრადის არქიტექტურამ ხოს მოგვხიბლა.

27 იანვარს გორკის სახელობის კულტურის სასახლეში ჩვენი პირველი კონცერტი იყო დანიშნული. კონცერტის დაწყებამდე ქართველ მეგობრებს ლენინგრადის ახალგაზრდობის სახელით მიესალმა კომკავშირის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. პეტროვა. გადმოგვცეს სამახსოვრო საჩუქრები, მედალი „კომკავშირის 40 წელი“, აგრეთვე სიგელი. როდესაც ჩვენ გამოვაცხადეთ, დღევანდელ კონცერტს ვუძღვნით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობას, რომელიც დღეს დილით მოსკოვში გაიხსნაო, დარბაზში სამი ათასმა წყვილმა ხელმა მქუხარე ტაში დასცხო.

კონცერტს დიდი წარმატება ჰქონდა. ქართულმა ტემპერამენტიანმა ცეკვებმა ხომ გააოცა ლენინგრადელი მეგობრები. და როცა გუნდმა (გუნდის ხელმძღვანელები გ. ბაქრაძე და ი. გურგულია) ახალგაზრდობის ჰიმნი შეასრულა, მთელი დარბაზი მღეროდა ანსამბლთან ერთად. ეს საღამო გადაიქცა ორი ძმამე ხალხის წარმომადგენელთა დიდ ზეიმად. ლენინგრადელი მეგობრები, ისევე როგორც ტალიელი მეგობრები, გაოცებული იყვნენ კ. არეშიძის, ლ. ასათიანის, ლ. ბენდიანიშვილის, ნ. ქავთარაძის, ი. კუკულაძის, ნ. ხუციძის, გ. ანდრიენკოს, გ. მელაძის და სხვა მოცეკვავეების სინარნარითა და ტემპერამენტით, მოხიბლული იყვნენ ესპანური სიმღერების შემსრულებლის ნაზი დუმბაძისა და ანსამბლის სოლისტების ი. გურგულიას, ვ. არსაბუსოვას, მ. ძიძიგურის, ტ. ზასოდიმსკაიას, ო. რამიშვილის, ლ. სოტოველის, ნ. რამიშვილის, ლ. ფურცელაძის, გ. ტყეშელაშვილის, ვ. ჯაფარიძის, ზ. ხოსიტაშვილის, ი. გრიგორიანისა და სხვების შემსრულებლობითი ოსტატობით.

ლენინგრადის კომკავშირის საქალაქო კომიტეტმა მოაწყო ქალაქის ახალგაზრდობის წეველი კომუნისტური შრომის ბრიგადებთან. ამ ღონისძიებაში მონაწილეობისათვის მასპინძლებმა მიიწვიეს ჩვენი ანსამბლიც.

ვემშვიდობებით ლენინის ქალაქს. კომკავშირის საქალაქო კომიტეტის მუშაკები გვთხოვდნენ: „დარჩით კიდევ რამდენიმე დღესო“. მაგრამ ჩვენი ანსამბლის „მაახობებს“ 7 თებერვალს ელოდა მშობლიური ინსტიტუტი, სადაც თვითეულ მათგანს, ისევ ძველებურად, ბეჯითად უნდა მოეკიდა ხელი მეცადინეობისათვის.

ანსამბლის წევრები წარუშლელი შთაბეჭდილებებით დაბრუნდნენ თბილისში. მათ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი წარჩინებულ სწავლასთან ერთად პროფესიულ დონემდე აიყვანონ თავიანთი შესრულებლობითი ოსტატობა.

გ. ᲨᲘᲝᲨᲕᲘᲚᲘ.

თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე.

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: კონფერანსიე დ. ჟორჟოლიანი (ზემოთ — მარცხნივ); მომღერალთა გუნდი, სოლისტები ვ. ჯაფარიძე და შ. ხმალაძე; დელეგაციის ერთი ჯგუფი ტალინის რადიომიმღებების ქარხანაში (ქვემოთ).

ფოტო შ. ჩხეტიანისა და კ. ფროლოვისა.

თბილისი

ქალაქის ქრონიკა

კინოფესტივალი

თბილისის ოფიცერთა საოლქო სახლის კინოთეატრში მიმდინარეობს საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 41-ე წლისთავისადმი მიძღვნილი კინოფესტივალი თემაზე: „დიდი ოქტომბრის მონაპოვრის სადარაჯოზე“.

ფესტივალის დღეებში უკვე აჩვენეს კინოფილმები: „პირველი დღე“, „ომის გზებზე“. დღესა და ხვალ ნაჩვენები იქნება სურათები „ცისფერი ისარი“ და „ჯარისკაცის გული“.

საბჭოთა არმიის წლისთავისათვის

თბილისის ოფიცერთა საოლქო სახლში ეწყობა საბჭოთა არმიის 41-ე წლისთავისადმი მიძღვნილი მთელი რიგი ღონისძიებები. თეატრალურ დარბაზში გაიმართა ლიტერატურული საღამო თემაზე „ისინი იბრძოდნენ სამშობლოსათვის“, დღეს ეწყობა სახელოვანი თარიღისადმი მიძღვნილი დილა, ოფიცრებისა და მათი ოჯახების წევრებისათვის—დასვენების სადამო, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს ფილარმონიის მსახიობები. 23 თებერვალს საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ფრიადოსნები შეხვდებიან საბჭოთა არმიის ვეტერანებს, ხოლო საღამოს გაიმართება საღღესასწაულო საღამო-კონცერტი მოსკოვის ესტრადის მსახიობთა მონაწილეობით.

ოფიცერთა სახლის ფოიეში მოწყობილია საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 41-ე წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა.

რამდენიმე სტენდი უპირავს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის მასალებს.

რამდენიმე სტრიქონით

◆ **„ახალი ცხოვრების ფურცელი“** — ასეთი სათაურით მწერალმა ს. წვეტავამ დაწერა ნარკვევი სტალინის სახელობის ორთქლმავალ - ვაგონშემკეთებელ ქარხანაზე. ამ დღეებში პლენუმი ქარხნის მუშებმა, ლიტერატურული წრის წევრებმა და სხვ.

◆ **კეთილმოწყობილი აფთიაქი** გაიხსნა ჩელუსკინელების ქუჩის № 19 სახლში. მას აქვს სარეცეპტო, სასისტენტო, წაინექციო ხსნარების მოსამზადებელი ოთახები, ჰეურჭლის სადეზინფექციო და სხვ.

◆ **მეგობრობის თემაზე** მკითხველთა კოფერენცია გაიმართა ო. თუმანიანის სახელობის საქალაქო მასობრივ ბიბლიოთეკაში. მოხსენება „ქართველი და სომეხი ხალხების მეგობრობა და ო. თუმანიანი“ წაიკითხა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა ვ. იმედაძემ. სიტყვებით გამოვიდნენ ბიბლიოთეკის მკითხველები.

◆ **15.000 გაზის ჭურას** დაამზადებს წელს თბილისის გაზაპარატურის (ყოფილი მინანქრიანი ჭურჭლის) ქარხანა. გაზის ჭურები გადაეცემა თბილისის, ბათუმის, სოხუმისა და ერევნის მოსახლეობას.

◆ **ნორიოლის საამქრო** გახსნა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის სამმართველომ. ეს საამქრო ჯერჯერობით ერთადერთია სსრ კავშირში. ნორიოლი იყენებენ ლიფთნის ნაკეთობათა ხარისხის შესამოწმებლად.

ᲙᲝᲛᲞᲝᲖᲘᲢᲝᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲡᲐᲦᲐᲛᲝ

კომპოზიტორ ვალერიან ცაგარეიშვილის სახელი ფართოდ არის ცნობილი. იგი ავტორია მთელი რიგი ნაწარმოებებისა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი საგუნდო შემოქმედება. უკანასკნელი წლების განმავლობაში ვ. ცაგარეიშვილი ხელმძღვანელობდა საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებულ ანსამბლს, რომელიც მისი მხატვრული ხელმძღვანელობით დიდ წარმატებებს აღწევდა საგასტროლო მოგზაურობისას გამართულ კონცერტებზე.

ამ დღეებში რუსთაველის სახელობის თეატრის საკონცერტო დარბაზში გაიმართა ვ. ცაგარეიშვილის მოღვაწეობის 35 წლისთავის აღსანიშნავი შემოქმედებითი საღამო.

სპორტი

სსრ კავშირის თასის გათამაშება ფეხბურთში

ამ დღეებში ფეხბურთის საკავშირო სექციამ მოაწყო სსრ კავშირის თასის გათამაშების შეხვედრათა წილისყრა „ბ“ კლასის გუნდებისათვის და დაამტკიცა მატჩების დრო.

საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის დამთავრების შემდეგ მეორე ეშელონის გუნდები დაიწყებენ ბრძოლას სსრ კავშირის თასის გათამაშების გადამწყვეტ ჯგუფში მოხვედრისათვის. „ბ“ კლასის თვითეული ზონიდან (მეექვსის გამოკლებით) ფინალური ჯგუფის ასპარეზობაში მონაწილეობას მიიღებს 3 გუნდი. მეექვსე ზონიდან გამოვა 2 გუნდი, ამასთან წილისყრით არც ერთ მათგანს პირველ შეხვედრაში არ მოუხდება „ა“ კლასის გუნდებთან გამოსვლა.

25 აგვისტოდან ბრძოლაში ჩაებმებიან ოსტატთა უმაღლესი ჯგუფის გუნდები. მეთექვსმეტედ ფინალში თბილისის „დინამო“ და სტალინის „შახტიორი“ შეხვდებიან პირველი ზონის გუნდებს, მოსკოვის „დინამო“ და ცსკ მო — მეორე ზონის ფეხბურთელთა კოლექტივებს, კუიბიშევის „კრილია სოვეტოვი“ და ლენინგრადის „ზენიტი“ — მესამე ზონის გუნდებს, როსტოვის სკკო და მოსკოვის „ლოკომოტივი“ — მეოთხე ზონის კოლექტივებს, კიშინიოვის „მოლდოვა“ — მეხუთე ზონის გუნდს.

სსრ კავშირის თასის მფლობელი — მოსკოვის „სპარტაკი“ პირველ მატჩს გამართავს მეშვიდე ზონის ერთ-ერთ გუნდთან. მეშვიდე ზონის გუნდებს შეხვდებიან აგრეთვე მოსკოვის ტორპედოელები და კიევის დინამოელები.

ნახევარფინალური და ფინალური მატჩები მოეწყობა მოსკოვში 4, 5 და 8 ნოემბერს.

ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით სოციალისტური კანონიერების შემდგომი განმტკიცების, სასამართლო ორგანოების მუშაობის გაუმჯობესებისა და მათი საქმიანობისადმი კოტროლის ერთ ორგანომი თავმოყრის მიზნით საქართველოს იუსტიციის სამინისტრო გაუქმებულია.

სასამართლო ორგანოების რეგიონია, მთელი მათი საქმიანობის ხელმძღვანელობა და კონტროლი, სასამართლო სტატისტიკის წარმოება, სახალხო სასამართლოების არჩევნების მოწყობა და განხორციელება, აგრეთვე სახელმწიფო სანოტარო კონტორების ხელმძღვანელობა დაკისრებული აქვს საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა გაათავისუფლა ამხ. ს. ს. როსტიაშვილი საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის თანამდებობისაგან ამ სამინისტროს გაუქმებასთან დაკავშირებით.

* * *

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ შექმნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან იურიდიული კომისია.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის თავმჯდომარედ დანიშნულია ამხ. მ. ყ. ლომიძე. (საქდესი).

ᲙᲐᲛᲔᲠᲣᲜᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲘᲑᲠᲫᲕᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲔᲘᲖᲔᲜᲰᲐᲣᲔᲠᲘ ᲛᲝᲚᲝᲰᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐᲡ ᲐᲬᲐᲠᲛᲝᲤᲔᲑᲡ ᲛᲔᲥᲡᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢ ᲐᲓᲝᲚᲤᲝ ᲚᲝᲞᲔᲖ ᲛᲐᲢᲔᲝᲡᲗᲐᲜ

ᲠᲐᲙᲔᲢᲐ „ᲐᲢᲚᲐᲜᲘ“ ᲛᲔᲣᲨᲘᲓᲔᲯᲔᲠ ᲐᲤᲔᲗᲔᲥᲓᲐ

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲔᲘᲖᲔᲜᲰᲐᲣᲔᲠᲘ ᲛᲔᲥᲡᲘᲙᲐᲨᲘ ᲒᲐᲛᲒᲖᲐᲕᲠᲐ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 20 თებერვალი. (საქდესი). როგორც საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან, გუშინ მექსიკის საკურორტო ქალაქ აკაპულკოში ორი დღის არაოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ეიზენჰაუერი. აკაპულკოში ეიზენჰაუერი მოლაპარაკებას აწარმოებს მექსიკის პრეზიდენტ ადოლფო ლოპეს მატეოსთან. ლოპეს მატეოსთან ეიზენჰაუერის პირველი შეხვედრის შემდეგ თეთრი სახლის მდივანმა პრესის საკითხებში ჰენგერტმ განაცხადა, რომ საუბრის მსვლელობაში განხილული იყო მდინარე რიო-გრანდე-დელ-ნორტეზე კამშალის მშენებლობის პერსპექტივების საკითხები, ტყვის, თუთიის, კალის და ბამბის ვაჭრობის საკითხები.

ᲐᲚᲑᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲙᲚᲔᲜᲣᲛᲘ

ᲢᲘᲠᲐᲜᲐ, 19 თებერვალი. (საქდესი). როგორც გაზეთები იუწყებიან, 1959 წლის 18 თებერვალს გაიმართა ალბანეთის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის გაფართოებული პლენუმი ალბანეთის შრომის პარტიის რაიონული კომიტეტების პირველ მდივანთა მონაწილეობით. პლენუმმა მოისმინა და ერთსულოვნად მიიწონა ალბანეთის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ენვერ ხოჯას მოხსენება ალბანეთის შრომის პარტიის დელეგაციის საქმიანობის შესახებ, დელეგაციისა, რომელიც დაესწრო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგგარეშე XXI ყრილობას.

ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲛᲮᲠᲘᲓᲐᲜ

მაკმილანის განცხადება

მოსკოვს გამოემგზავრების წინ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 21 თებერვალი. (საქდესი). მოსკოვს გამოფრენის წინ პრემიერ-მინისტრმა მაკმილანმა აეროპორტში შემდეგი განცხადება გააკეთა პრესის წარმომადგენლებისათვის:

„რამდენიმე საათში საგარეო საქმეთა მინისტრი და მე მოსკოვში ვიქნებით.

ინგლისის მოსკოველმა ელჩმა ჩვენს მოგზაურობას კვლევითი ექსპედიცია უწოდა. მე მას დაზვერვას ვუწოდებ. მაგრამ შევიტყე, რომ ამ სიტყვას ავბედითი მნიშვნელობა აქვს, როცა რუსულ ენაზე ითარგმნება. რა თქმა უნდა, მე არ ვაპირებ გამოვიძიო საიდუმლოებანი. ჩვენ მივემგზავრებით, რათა გამოვარკვიოთ რუსი ლიდერების აზრთა განწყობილება და ვნახოთ, თუ რა ზომით შეგვიძლია დავამყაროთ მათთან კონტაქტი.

მე არ ვაპირებ ვაწარმოო მოლაპარაკება — საამისო რწმენებები არა მაქვს. მოლაპარაკება გაიმართება უფრო გვიან. არის სამი რამ, რაც, ვფიქრობ, ჩვენ შეგვეძლია გავაკეთოთ. ჯერ ერთი, მოვიხადოთ ზრდილობის ვალი — ვუპასუხოთ ვიზიტზე, რომელიც რუსმა ხელმძღვანელებმა გაუკეთეს ჩვენს ქვეყანას სამი წლის წინათ.

მეორე, ვეცადოთ, რომ გავეცნოთ ქვეყნის ხალხს, უკეთ გავიცნოთ ცხოვრების წესი იქ და, შესაძლოა, რამდენადმე გავაცნოთ ჩვენი ცხოვრების წესი.

ბოლოს, შეგვიძლია ვესაუბროთ საბჭოთა ხელმძღვანელებს. ცხადია, აზრი არა აქვს ვამტკიცოთ, რომ ჩვენს შორის არ არსებობს ძალიან სერიოზული უთანხმოებანი, და არავითარი აზრი არა აქვს დავმალოთ, რომ ეს უთანხმოებები შეიძლება მწვავე გახდეს და გამოიწვიოს საშიში სიტუაცია, — ვგონებ, სწორედ ეს გამოთქმა იხმარა თვითონ ბ-ნმა ხრუშჩოვმა.

მიუხედავად ამისა, ამ ატომურ საუკუნეში თითოეული მხარე კოლოსალურად დაინტერესებულია მშვიდობით. მე ვიტყოდი, თითქმის სასიცოცხლოდ დაინტერესებულია და, მაშასადამე, ჩვენ ამ სულისკვეთებით უნდა მივაღწიოთ შეთანხმებას.

არ ვიცი, რაოდენ წარმატებითი იქნება ჩვენი ცდა, მაგრამ ჩვენ, უეჭველია, ვეცდებით.

დარწმუნებული ვარ, რომ პირადი საუბრები და კონტაქტები ძალიან სასარგებლოა თანამედროვე საერთაშორისო პირობებში. თავისთავად ისინი არ წარმოადგენენ ჩვენი პრობლემების გადაწყვეტას, მაგრამ, ვფიქრობ, რომ ისინი დაგვეხმარებიან გადაწყვეტილებანი შესაძლებელი გავხადოთ.

ყოველ შემთხვევაში, სწორედ ამ განწყობილებით საგარეო საქმეთა მინისტრი და მე ვიწყებთ ჩვენს მოგზაურობას“.

ᲠᲐᲙᲔᲢᲐ „ᲐᲢᲚᲐᲜᲘᲡ“ ᲣᲨᲣᲐᲚᲝ ᲒᲐᲨᲕᲔᲑᲐ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 20 თებერვალი. (საქდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი კანაველის კონსულიდან (ფლორიდის შტატი) იუწყება, დღეს ადრე დილით აქ სცადეს გაეშვათ საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტა „ატლასი“. გაშვების 4 წუთის შემდეგ რაკეტა აფეთქდა და თეთრ კვამლში გაეხვია.

კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ რაკეტა „ატლასი“ უკვე მეშვიდეჯერ ფეთქდება ამა თუ იმ მიზეზით.

ᲜᲐᲠᲔᲕᲘ

◆ სამხრეთ ამერიკის ფეხბურთის ბევრი გულშემატკივარისა და ფეხბურთელის მშფოთვარე ხასიათზე არაერთხელ დაწერილა. ხელჩართული ბრძოლა მოედანზე, არნახული უხეშობა და სროლა ტრიბუნებიდან იქ ჩვეულებრივ მოვლენად გახდა. ბუნებრივია, ასეთ პირობებში მატჩის მსაჯობა ძნელია.

ალბათ ამით იყო გამოწვეული, რომ ერთ-ერთი მსაჯი — მენდიოდო ქალაქ სან კამილოში მოედანზე გამოვიდა პისტოლეტით შეიარაღებული. პირველ ტაიმში იგი დარბოდა მოედანზე ჩახმახმომართული პისტოლეტით და შეჯიბრებამ მშვიდად ჩაიარა. მატჩის უკანასკნელ წუთებში, როდესაც მღელვარებამ უმაღლეს მწვერვალს მიაღწია, ორ ფეხბურთელს შორის მძაფრი შეტაკება მოხდა. გასაშველებლად მისულ მსაჯს პისტოლეტი ხელიდან გაუვარდა. მოხდა გასროლა და ერთ-ერთი ფეხბურთელი მსუბუქად დაიჭრა ფეხებში.

მსაჯი გადარჩა იმით, რომ დაზარალებული მიიპატიჟა საუკეთესო რესტორანში და შესანიშნავი სადილით გაუმასპინძლდა.

◆ ფეხბურთის პირველი გუნდი ინგლისში ჯერ კიდევ 1850 წელს გამოჩნდა. ცამეტი წლის შემდეგ იქ ჩამოყალიბდა ფეხბურთის ლიგა. მაშინ თავდამსხმელად გამოდიოდა 8 სპორტსმენი, ხოლო კარში, მცველად და ნახევარმცველად თითო ფეხბურთელი იდგა. ვერცხლი ხაზიდან ბურთს აწვდიდნენ ცალი ხელით, ამასთანავე ის, ვინც მიასწრებდა. მეკარეს ხელით თამაშის ნება 1871 წლიდან დაერთო.

რედაქტორი
დ. მᲔᲓᲚᲘᲣᲨᲕᲘᲚᲘ.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო აუწყებს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კოლეგიის წევრის, კულტურულ-საგანმანათლებელ დაწესებულებების საქმეთა სამმართველოს უფროსის
ᲘᲝᲡᲔᲑ ᲒᲔᲠᲐᲡᲘᲛᲝᲕᲘᲡ ᲫᲔ ᲐᲮᲚᲝᲕᲚᲘᲐᲜᲘᲡ
გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს მის ოჯახს. გამოსვენება 22/II 2 ს. თბილისის მასწავლებელთა სახლიდან.

ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲙᲐᲛᲔᲠᲣᲜᲔᲚ ᲮᲐᲚᲮᲡ!

ᲐᲖᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲤᲠᲘᲙᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲝᲚᲘᲓᲐᲠᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სპეციალურ სესიაზე დაიწყება კამერუნისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების საკითხის განხილვა.

კამერუნის ხალხი უკვე მრავალი წელია შეუპოვარ ბრძოლას აწარმოებს ეროვნული დამოუკიდებლობისათვის და თავისი ქვეყნის ერთიანობის აღდგენისათვის, რომელიც ინგლისელმა და ფრანგმა იმპერიალისტებმა ორად გაყვეს. ცდილობენ რა რადაც უნდა დაუჯდეთ ჩაახშონ კამერუნელთა მისწრაფება თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისადმი, კოლონიზატორები არავითარ საშუალებას არ ერიდებიან. თავისუფლებისათვის ათეულ ათასობით შებრძოლი დახოცილა, გადასახლებულია და საპყრობილეშია ჩასმული. ათასობით სრულიად უდანაშაულო ადამიანი საკონცენტრაციო ბანაკებში იტანჯება. აკრძალულია ყველა პროგრესული პარტია და ორგანიზაცია. სასტიკი რეპრესიები არ წყდება, მაგრამ იმპერიალისტები ვერ ახერხებენ დაარჩოქონ თავისუფლებისმოყვარე კამერუნელი ხალხი.

კამერუნელი ხალხის წმიდათა წმიდა ბრძოლას თავისი დამოუკიდებლობისა და გაერთიანებისათვის მხარს უჭერს მთელი პროგრესული კაცობრიობა, ყველა საბჭოთა ადამიანი. საბჭოთა კავშირის საზოგადოებრიობა გულმოდგინედ ადევნებს თვალყურს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მუშაობის მსვლელობას, რომელიც მოწოდებულია ბოლო მოუღოს აღმაშფოთებელ უსამართლობას კამერუნელი ხალხის მიმართ. საბჭოთა ადამიანები ხმას იმაღლებენ იმისათვის, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მხარი დაუჭიროს მრავალტანჯული კამერუნელი ხალხის მოთხოვნას მისთვის ეროვნული დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ.

დღეს, როცა აზიისა და აფრიკის ხალხები აღნიშნავენ მებრძოლ კამერუნელ ხალხთან სოლიდარობის დღეს, აზიისა და აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის საბჭოთა კომიტეტი მილიონობით საბჭოთა ადამიანის სახელით ძმურ სალამს უძღვნის კამერუნელ ხალხს და სულითა და გულით უსურვებს მას სრულ გამარჯვებას თავისი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

აზიისა და აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის საბჭოთა კომიტეტი.

ᲙᲐᲛᲔᲠᲣᲜᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲘᲑᲠᲫᲕᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲔᲘᲖᲔᲜᲰᲐᲣᲔᲠᲘ ᲛᲔᲥᲡᲘᲙᲐᲨᲘ ᲒᲐᲛᲒᲖᲐᲕᲠᲐ

ᲐᲚᲑᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲙᲚᲔᲜᲣᲛᲘ

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: **რედაქტორის** — 3-62-26, **რედაქტორის მოადგილეების** — 3-63-03, 3-82-05. 3-32-46, **პასუხისმგებელი მდივნის** — 3-72-80, **სამდივნოსი** — 3-06-88, **განყოფილებებისა:** **პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის** — 3-81-84, **მრეწველობისა და ტრანსპორტის, ადგილობრივი ინფორმაციის** — 3-16-90, **სოფლის მეურნეობის** — 3-20-43, **კულტურისა და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების** — 3-80-84, **საბჭოთა მშენებლობის** — 3-57-61, **უცხოეთის ინფორმაციის** — 3-80-83, **წერილებისა და პარტბიუროსი** — 3-73-24, **საილუსტრაციო** — 3-08-67, **განცხადებების მიღების** — 3-64-42, **გამომშვების** — 3-81-65.

УЭ 01355

საქართველოს კპ ც.კ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.